კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ახალაია ეგროსი

დაზარალებულის საპროცესო უფლებათა პრობლემატიკა სისხლის სამართლის პროცესში

(ნაშრომი შესრულებულია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი:
ალექსანდრე გიორგიძე

თბილისი
2018 წელი

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულია დაზარალებულის პროცესუალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები საკანონმდებლო სფეროსა და პრაქტიკაში არსებულ მიდგომებთან. შევეცადე აღნიშნული საკითხების საილუსტრაციოდ კონკრეტული მაგალითები მომეყვანა, სადაც იყო საკითხთა პრობლემის არსი მოცემული, რის საფუძველზეც განვსაზღვრე მისი გადაჭრის გზები კანონშემოქმედებითი კუთხით.

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეძღვნება დაზარალებულის, როგორც მოწმის, უფლება მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშრიებული საკითხების ანალიზს, სადაც განვსაზღვრე დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის გამომწვევი მიზეზების პრევენციის ღონისძიებები, მისი გამოყენების აუცილებლობის სამართლებრივი და სოციალური საფუძვლები ადამიანის ფუნდამენტური უფლებების გათვალისწინებით.

დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მოგეხსენებათ, აქტუალური საკითხია, ვინაიდან მისი უზრუნველყოფა სისხლისამართლებრივი წესით სისხლის სამართლის სასამართლოში არ ხდება. ამდენად, ნაშრომში მოცემული და გაანალიზებულია იმ საკანონმდებლო რეგულაციის ტელეოლოგიური შინაარსი, რომლითაც კანონმდებელი დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს სამოქალაქო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით რთავს ნებას აღადგინოს მისი დარღვეული უფლება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ბოლო დროინდელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა და დამატებებმა დაზარალებულის უფლებების კუთხით, მასზე მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი იქონია. თუმცა აქვე აღსანიშნავია, ის პრობლემატიკა, რომელიც აღნიშნულმა საკანონმდებლო რეგულაციებმა შექმა, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული კუთხით. წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია წარმოაჩინოს აღნიშნული პრობლემები და მისი გადაჭრის ოპტიმალური გზებისკენ მოუწოდოს ქართველ კანონმდებელს.

რელევანტურ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ერთობლივი მოსაზრებაში (OSCE/ODIHR and Council of Europe Joint Opinion on the Criminal Procedure Code of Georgia) ცალსახად იკვეთება დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა (Nr: CRIM-GEO/257/2014 [RJU, p.36). აღნიშნული დასკვნა სარეკომენდაციო ხასიათის მატარებელია, თუმცა მათი გათვალისწინებისთვის ეფექტური და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა უზრუნველყოფს ევროპარლამენტის მიერ მიღებულ 2012/29/EU ევროდირექტივასთან, ქართული კანონმდებლობის სრულ შესაბამისობას.

Annotation

The present work reflects the problems related to the recognition of victims in the legislative sphere and practice. I tried to illustrate these issues with the concrete examples of the issues of the problem, and the basis for determining the ways of its solution in the lawmaking.

Master's thesis is devoted to the main part of the victim as a witness regarding the implementation of the rights and entitlements of the analysis, which determined the victim re-victimization causes prevention measures, considering the use of the necessary legal and social basis of fundamental human rights.

Crime compensation for damages resulting, as you know, is a timely question, because its provision of criminal procedure in a criminal trial does not take place. so the work is given and analyzed the content of the legislative regulation of the teleological, the legislator crime afflicted person civil and administrative trial procedure allows to restore his violated rights

The main part of the work is to analyze the existing legal relations between the prosecutor and the victim and the research on which criteria the prosecutor should take in the decision-making process, where special attention is paid to the less severe and serious offense of the investigation and criminal persecution On the cases.

Recent legislative amendments and enhancements in the Criminal Procedure Code of Georgia have a significant positive effect on the rights of the victims, but it is also worth mentioning that the legislative regulations of the mentioned legislation were practical and theoretical. The main purpose of the present paper is to present these problems and call on the Georgian legislator for optimal ways of solving it.

The relevant factor is the fact that the OSCE / ODIHR and Council of Europe Joint Opinion on the Criminal Procedure Code of Georgia (OSCE / ODIHR and the Council of Europe's Human Rights and the Directorate General of the European Council for Human Rights) clearly identifies the rights of the victim Necessity to improve the situation (NR: CRIM-GE / 25/7/2014 [RJU, p.36). This conclusion has the power of recommendation, but the effective steps to take into consideration are ensured by the European Parliament's 2012/29/EU Euriportiation, which guarantees the full compliance of the Georgian legislation.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....6-10

თავი I. დაზარალებულის ცნება და მისი ლეგიტიმური მოთხოვნები

1.1 დაზარალებულის ცნება სისხლის სამართლის პროცესში….....11-13

1.2 პირის დაზარალებულად ცნობა და მისი პრობლემატიკა.....13-18

1.3 დაზარალებულის უფლებრივი გარანტიები ადამიანურ (ჰუმანურ) მოპყრობაზე..18-22

1.4 მსხვერპლის მოთხოვნილება მოხდეს მისი რესოციალიზაცია.....22-24

თავი II დაზარალებულის აქტიური საპროცესო უფლებები და სტატუსისმიერი ვალდებულებები.

2.1 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.....25-31

2.2 ინფორმაციის გაცნობის უფლება.....31-34

2.3 დაზარალებულის უფლება მოითხოვოს დაცვის სპეციალურ ღონისძიებაში მისი ჩართვა.....34-37

2.4 დაზარალებულის უფლება ისარგებლოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინაციის სამსახურის მომსახურეობით.....38-44

2.5 დაზარალებული, როგორც მოწმე……...…….....44-51

თავი III. დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულების პროცესში

3.1 აღდგენითი მართლსაჯულების მნიშვნელობა.....51-55

3.2 დაზარალებულის (როლი) მედიაციის პროცესში.....55-58

3.3 მედიაციისა და სასჯელის ურთიერთმიმართება.....59-60

თავი IV. გასაჩივრების უფლება, როგორც დაზარალებულის პრივილეგია

4.1 დაზარალებულის უფლებები პროკურორის მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიმართ.....61-70

4.2 დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმებისას.....70-75

თავი V. რეკომენდაციები.....76-78

დასკვნა.....79-81

გამოყენებული ლიტერატურა.....82-85

გამოყენებული აბრევიატურა / შემოკლებები.

ა.შ. - ასე შემდეგ

სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი

სკ-სამოქალაქო კოდექსი

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

გამომც. - გამომცემლობა

თბ. - თბილისი

წ. - წელი

წწ. - წლებში

გვ. - გვერდი

შეად. - შეადარეთ

რედ. - რედაქტორი

ე.ი. - ესე იგი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

სხვ. - სხვა

ევროპული სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

დირექტივა - ევროპარლამენტის **2012/29/EU დირექტივას,** ,,დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ“

შესავალი

მსოფლიოს მასშტაბით დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმთავრესია მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა და ამ პროცესში უპირველესად საკითხი ეხება დაზარალებულს. სწორედ ამ მიზნით, 2014 წელს ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 217-ე მუხლის შესაბამისად, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის გაფორმდა ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელმაც მხარეებს შორის დაამკვიდრა „განსაკუთრებული და პრივილეგირებული ურთიერთობა" და ასოცირებული სახელმწიფო ორგანიზაციის წევრობის გარეშე დაუკავშირა ევროპის კავშირის სისტემას (Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, 7. Auflage, 2016, Rn 3-4). შესაბამისად, საქართველომ იკისრა ვალდებულება, მართმსაჯულების კუთხით გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რაც გულისხმობს უპირველესად ადამიანის უფლებების დაცვას, ეფექტიანი და დამოუკიდებელი სამართალდამცავი ორგანოების ჩამოყალიბებას (,,ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის", 200/42, 27.06.2014, მუხლი 13). ამ კუთხით ასევე აუცილებელი კანონების მიღებას, უკვე მიღებულ კანონებში ცვლილებების შეტანას ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით და სხვ (,,ასოცირების შეთანხმება", მუხლი 4).

სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის მსხვერპლის უფლებების დაცვას ბოლო წლებში ევროპულ დონეზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. ევროპის კავშირმა 2001 წელს მიიღო 2001/220/JI ჩარჩო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის კონკრეტული უფლებები და საჭიროებები. თუმცა ეროვნულ დონეზე სამართლებრივ ნორმებს შორის დიდი სხვაობისა და ცალკეული სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ფონზე ვერ ხერხდებოდა იმ მიზნის მიღწევა, რომელიც დაზარალებულის უფლებების სფეროში სამართლის ჰარმონიზაციისაკენ იყო მიმართული (Kommission der europäischen Gemeinschaften, Bericht der

KommissionKom(2009)166,S.11(იხილეთ:http://ec.europa.eu/civiljustice/news/docs/succession_proposal_for_regulation_de.pdf). დანაშაულის მსხვერპლის სათანადო დაცვისა და მისი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ევროპულმა საბჭომ ევროპულ კომისიასა და ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს დაავალა, საკითხის მიმართ შეემუშავებინათ ინტეგირირებული და კოორდინირებული მიდგომა, შეეფასებინათ დანაშაულის მსხვერპლის კომპენსაციის შესახებ ევროპის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/80/EG დირექტივა, ასევე ჩარჩო გადაწყვეტილება და გადაესინჯათ, არსებობდა თუ არა ორივე სამართლებრივი ინსტრუმენტის გაერთიანების გზით ერთიანი სამართლებრივი აქტის მიღების შესაძლებლობა (Europäischer Rat, Das Stockholmer Programm – ein offenes und sicheres Europa im Dienste und zum Schutz de Bürger (2010/C 115/01), S. 10 (იხილეთ: https://www.easo. europa.eu/sites/default/files/public/stockholmer-programm. Pdf). შედეგად, 2012 წლის 25 ოქტომბერს მიღებულ იქნა დანაშაულის მსხვერპლის უფლებების, მათი მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტების, ასევე ჩარჩო გადაწყვეტილების ჩანაცვლების შესახებ დირექტივა 2012/29/EU,4 რომელმაც საგრძნობლად გააფართოვა ჩარჩო გადაწყვეტილებით განსაზღვრული უფლებები.

ამდენად, დაზარალებულის მდგომარეობის მომწესრიგებელი საკითხები უნდა შეესაბამებოდეს ევროპარლამენტის **2012/29/EU დირექტივას,** ,,დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ“ (იხ. ევროდირექტივა. 2012/29/EU). საერთაშორისო. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დაზარალებულები სარგებლობენ გარკვეული უფლებებით სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას. ესენია: თანაგრძნობით მოპყრობის უფლება, მათ შორის ღირსების პატივისცემა (გაეროს დეკლარაცია დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლთა დაცვის შესახებ, მუხლი 4). ისინი ჩართული უნდა იყვნენ გამოძიების პროცესში იმ დონეზე, რაც აუცილებელია მათი კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად (Hugh Jordan v the United Kingdom, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 4 მაისი, 2001, განაცხადი #24746/94, პუნქტი 109).

აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა საკითხი იმის შესახებ რომ დაზარალებული, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი მონაწილე სათანადოდ აქტუალური გამხდარიყო ზემოთხსენებულ მართლმსაჯულების

პროცესში გატარებული საკანონმდებო ცვლილების ფარგლებში. ამას გარდა, სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა დამნაშავის დასჯასთან ერთად პარალელურად იზრუნოს დაზარალებულზე - მოახდინოს მისი კანონიერი ინტერესების და მოთხოვნილებების უზრუნველყოფა (Kelly and Others v the United Kingdom, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 4 მაისი, განაცხადი #30054/96, პუნქტები 118, 136).

განსაკუთრებით დემოკრატიულ ქვეყნებში დაზარალებულის უფლებების დაცვას დიდი ყურადღება ექცევა, ამიტომაცაა დანაშაულის მსხვერპლს კონსტიტუციით აქვს მისი ძირითადი უფლებები განსაზღვრული. მართლსაჯულების განხორციელების პროცესში, თუ სახელწიფომ არ ან ვერ უზრუნველყო დანაშაულის მსხვერპლის უფლებების სწორი და სამართლებრივად დასაბუთებული რეგლამეტაცია ქვეყნის კანონმდებლობაში, ამას შედეგად აუცილებლად მოჰყვება საზოგადოებაში უსამართლობის გრძნობა და ასევე უნდობლობა მართლმსაჯულების მიმართ. ამასთან რა თქმა უნდა სახელმწიფო ვალდებული არ არის ნებისმიერი სურვილი და მოთხოვნა დაუყმაყოფილოს დანაშაულის მსხვერპლს, თუმცა იგი ასევე ვალდებულია იმ აუცილებელი და სასიცოცლოდ მნიშვნელოვანი საჭიროებების უზურუნველობა მოახდინოს საპროცესო კანონმდებლობაში, სწორი კანონების მიღებით ან მასში ცვლილებების განხორციელების გზით მსხვერპლის უფლებების დაცვის მიზნით (თუმანიშვილი. 2014წ, გამომც.,,იურისტების სამყარო“, თბილისი, გვ.165).

ნაშრომის აქტუალურობა. თემის აქტუალურობამ ქართულ კანონმდებლობაში სისტემური ხასიათი მიიღო, რამდენადაც საქართველოში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ბოლო პერიოდის განმავლობაში მკვეთრად შეიცვალა, ზოგჯერ ძალზედ გაფართოებული სახით იყო მოცემული, ზოგჯერაც კი უფრო შევიწროებული ფორმით, აღნიშნული ცვლილებები, განპირობებულია ვიქტიმოლოგიის მნიშვნელობის მსოფლიო მაშტაბებით ზრდით.

თუ არ იქნება დაცული დაზარალებულის უფლებები სახელმწიფოს მხრიდან, დანაშაულის მსხვერპლს ერთმევა ნორმალური განვითარების უფლება, ვინაიდან მისთვის მიყენებული ფიზიკური და სულიერი ტკივილი ხშირად უკურნებელია დროის ხანგრძლივ პერიოდში, რაც განაპირობებს დაზარალებულის უნდობლობას სახელმწიფო

ორგანოებისდმი, რის შედეგადაც მსხვერპლს უჩნდება სურვილი თვითონ აღადგინოს სამართლიანობა ე.წ ,,თვითიუსტიცია'' და ეს კი საფუძველია დაზარალებულის მიმართ დევიქტიმიზაციის (თუმანიშვილი. 2014წ. გამომც. ,,იურისტების სამყარო", ქ.თბილისი,გვ.165-66).

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია, სისტემურად და პრაქტიკაში გამოვლენილი სირთულეების ფონზე გაანალიზოს, თუ როგორია დანაშაულით დაზარალებული პირების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ საქართველო ინკვიზიციური სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან შეჯიბრებით სისტემაზე გადავიდა. ამასთან გავაანალიზოთ არა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი ჩარჩო, არამედ, ასევე, დავინახოთ დაზარალებულთა მიერ უფლებებით სარგებლობის რეალური სურათი პრაქტიკაში.

აშკარაა, რომ სახელმწიფომ უნდა შეცვალოს კანონმდებლობა და პრაქტიკა დაზარალებულთა უფლებებთან მიმართებით. ისევე, როგორც მიუღებელია, რომ მართლმსაჯულების იდეას წარმოადგენდეს შურისძიება დაზარალებულის მიერ ან მისი სახელით, ასევე მიუღებელია მართლმსაჯულების განხორციელება დაზარალებულის მიერ განცდილი ზიანის აღიარების და დარღვეული უფლებების აღდგენის გარეშე. ამიტომ ვერ იქნება გამართლებული ის მდგომარეობა, რომელიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით და პრაქტიკით დაზარალებულს აქვს საქართველოში.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში, გამოყენებულ იქნა შესაბამისი იურიდიული ლიტერატურა, აგრეთვე მოხდა სათანადო სამართლებრივი ნორმების ჯეროვანი ანალიზი. კონკრეტულად, საუბარია საჯარო - სამართლებრივი, საპროცესო - სამართლებრივი, სპეციალური და მომიჯნავე დარგების ნორმატიულ აქტებზე, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ამ ინსტიტუტის ძირითად კონცეფტუალურ საკითხებს. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულ იქნა მეთოდები, რომლებიც დამახასიათებელია ზოგადად იურიდიული მეცნიერებისათვის, მათ შორის ანალიტიკური მეთოდი. გაანალიზებულია ნორმატიული მასალები და ასევე ლიტერატურა, რომელიც დაკავშირებულია ნაშრომის საკითხებთან. **კვლევის ძირითად ხერხს წარმოადგენს** ისტორიული, ფორმალურ - ლოგიკური და შედარებით-

სამართლებრივი ანალიზის მეთოდი. შედარების მეთოდი თავის მხრივ გულისხმობს : შედარებით-ისტორიული და შედარებით - სამართლებრივ მეთოდებს, ხოლო სამართლებრივი ნორმების განმარტებისას გამოყენებულ იქნება ნორმის ტელეოლოგიური, გრამატიკული და სისტემური მეთოდები.

კვლევის საგანი. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია იმ ფაქტების, გარემოებებისა და მოვლენათა თანმიმდევრობის ანალიზი, რომლებიც განაპირობებენ დაზარალებულის საპროცესო უფლებათა სფეროს უკეთ რეგულირების აუცილებლობას. აგრეთვე იმ კანონშემოქმედებითი და სამართალშეფარდებითი პრობლემების წარმოჩენა, რაც უშუალოდ დაკავშირებულია დაზარალებულის იურიდიულ უფლებათა რეალიზაციის ასპექტში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი კონცეპტუალურად შედგება შესავლის, 5 თავის, 14 პარაგრაფის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან. ნაშრომის მოცულობა შეადგენს 85 გვერდს.

თავი I დაზარალებულის ცნება მისი და ლეგიტიმური მოთხოვნები

1.1 დაზარალებულის ცნება

იურისპუდენციაში არსებობს ორი სახის დაზარალებული სამოქალაქო სამართლიდან გამომდინარე დაზარალებული და ასევე სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგად დაზარალებული, ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებობს უდიდესი მიჯნა, მიუხედავად ტერმინთა იდენტურობისა, ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობიდან წარმოშობილ ზიანთან, ხოლო მეორე შემთხვევაში - დანაშაულთან და ამ დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირთან (ჭანტურია, ზოიძე, ნინიძე, შენგელია, ხეცურიანი, წიგნი მესამე, 2001წ, გამომც. ,,სამართალი", თბილისი, გვ. 366-367). მეცნიერებაში ტერმინის ,,დაზარალებული" ცალსახა განსაზღვრება არ არსებობს, ვინაიდან სხვადასხვა სამეცნიერო დარგის წარმომადგენელი მას განსხვავებულად განმარტავს, მათ განსაზღვრებებს აქვთ ლოგიკური დასაბუთება, თუმცა ერთმნიშვნელოვნად ამომწურავი თითოეული ცალ-ცალკე არ არის.

2012/29/EU დირექტივა „დანაშაულის მსპვერპლში" მოიაზრებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მსხვერპლს, რომელიც შეიძლება იყოს „ფიზიკური პირი, რომელმაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სულიერი ტკვილი ან ეკონომიკური დანაკარგი" (მუხლი 2, პუქნტი „a", ქვეპუნქტი „i") ან „ოჯახის წევრი იმ პირისა, რომელიც უშუალოდ დანაშაულის შედეგად გარდაიცვალა და რომლის გარდაცვალებით პირს მიადგა ზიანი" (მუხლი 2, პუქნტი „a", ქვეპუნქტი „ii"). ამასთან, ზიანს მხოლოდ მაშინ ექნება ადგილი, თუ გარდაცვლილსა და მის ნათესავს ერთმანეთთან მჭიდრო ემოციური ურთიერთობა ჰქონდათ ან ნათესავი ფინანსურად იყო დამოკიდებული გარდაცვლილზე (European Commission, DG Justice, Guidance Document related to the transposition and implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 – 19/12/2013, p. 10). დირექტივამ ნათესავების წრეც განსაზღვრა და მას მიაკუთვნა გარდაცვლილის მეუღლე; პირი, რომელსაც მსხვერპლთან

მჭიდრო ინტუმური კავშირი ჰქონდა (მათ შორის ერთსქესიანთა კავშირი) და რომელთან ერთადაც ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეუობას; პირდაპირი ხაზის ნათესავები (მშობლები), და-ძმა და მსხვერპლის კმაყოფაზე მყოფი პირი.

საინტერესოა, მეცნიერების შეხედულებები ამ ტერმინის განმარტებისას. **მაგ. ციპფის** მიხედვით დანაშაული მსხვერპლი ანუ ''დაზარალებულია,, პირი, რომელმაც დანაშაულის შედეგად ზიანი განიცადა, მიუხედავად იმისა, ეკუთვნოდა თუ არა მას დაზარალებული სამართლებრივი სიკეთე ან კანონით შეუძლია თუ არა მას კანონმდებლობით მიმართოს სამართალდამცაც ორგანობს (შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, გამომც.,,მერიდიანი", თბილისი, 2011წ გვ.14), ხოლო **პაშის** მიხედვით, დაზარალებულად უნდა ჩაითვალოს პირი, რომელიც სხვა პირის ნების შემსრულებელია ანუ სხვა ბატონებს მის ნებაზე, სხვისი მორჩილია. სამართლებრივი თვალსაზრისით, დანაშაულის მსხვერპლია ნებისმიერი ფიზიკური, იურიდიული პირი ან სახელმწიფო, რომლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე არამართლზომიერი ჩარევის (დანაშაულის) შედეგად ხელყოფილ იქნა, ასევე პაში ასახელებს მსხვერპლთა ზოგად ჩამონათვალს.

მსხვერპლი შეიძლება იყოს ადამიანი, ორგანიზაცია, საზოგადოება და სახელმწიფო, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა ან შეიძლება მისდგომოდა ზიანი, ასევე დაზარალებული შეიძლება იყოს გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი. ამერიკელი კრიმინოლოგი **Schafer-ის** მიხედვით დანაშაულის შედეგად, რაღაცა ან ვიღაცა საფრთხეში უნდა აღმოჩნდეს ან დაზიანდეს, დაზარალდეს, განადგურდეს. აქედან გამომდინარე, დანაშაულს აუცილებლად თან ახლავს დაზარალებული ანუ დანაშაულის მსხვერპლი (შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, გამომც.,,მერიდიანი", თბილისი, 2011წ გვ.15).

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანომდებლობის მიხედვით, დაზარალებულია პირი, რომელსაც დანაშაულის მომზადების, მცდელობის ან დანაშაულის შედეგად მიადგა უშუალოდ მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი ან ასეთი ზიანის მიყენების საფრთხე შეექმნა (იხ.სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილი

და 56- მუხლის მე-4 ნაწილი). ზემოხსენებული დასაბუთებები დაზარალებული პირის დეფინიციასთან დაკავშირებით განმტკიცებულია ლოგიკური არგუმენტებით, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად აქვს არსებობის უფლება.

1.2 პირის დაზარალებულად ცნობა და მისი პრობლემატიკა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახად, **დაზარალებულს წარმოადგენს ფიზიკური პირი იურიდიული პირი ან სახელწიფო,** რომელსაც მიადგა ფიზიკური, მორალური ან ფსიქიკური ზიანი, ხოლო დაუმთავრებული დანაშაულის ჩადენისას, უშუალო საფთხე თუ დაემუქრებათ ამ პირებს, ამ შემთხვევაშიც ისინი წარმოადგენენ დაზარალებულებს სისხლის სამართლის საქმეში (ფაფიაშვილი, გამომც.,,ბონა კაუზა“, 2015 წ. გვ. 219). სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით პირის დაზარალებულად ცნობისათვის აუცილებელია მატერიალური, ასევე ფორმალური საფუძვლების არსებობა. რაც შეეხება მატერიალურ წინაპირობას, აქ იგულისხმევა უშუალო ზიანი, რაც შეიძლება მიადგეს დაზარალებულს ფიზიკური, ფსიქიკური თუ მორალური ზიანის ფორმით. ფორმალური წინაპირობა გულისხმობს პროკურორის მიერ მიღებულ გადაწვეტილებას (დადგენილებას) პირის დაზარალებულად ცნობის ან უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე (ჯ.გახოკიძე, მ.მამნიაშვილი, ი.გაბისონია, ა.ჯანაშია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი(ზოგადი ნაწილი) მეორე გამოცემა, გამომც.,,იურისტების სამყარო“, თბილისი, დაზარალებული, თბილისი, 2013 წ. გვ.87).

პროკურორის მიერ პირის დაზარალებულად ცნობა ხდება გამოძიების სტადიაზე. გამოძიების დაწებისთანავე საკმარისი საფუძვლის არსებობის შეთხვევაში ან მოგვიანებით გამოძიების მსვლელობისას თუ გაირკვა, რომ პირს ნამდვილად მიადგა ზემოთხსენებული ზიანი, აუცილებელია დადგინდეს ზიანის ფაქტი. პირის დაზარალებულად ცნობისათვის აუცილებელი არ არის ამ პირის ნება - სურვილი, არც მისი ასაკი, არც მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა. პროკურორი ვალდებულია მატერიალური/ფორმალური საფუძვლების არსებობისას პირს მიანიჭოს დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი. პირის დაზარალებულად ცნობა

შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნამდე, ხოლო საქმის სასამართლოში არსებითი გახილვისას სამართლებრივად დაშვებელია (ფაფიაშვილი. 2015წ, გამომც.,,ბონა კაუზა“, გვ.219). დაზარალებული ყველაზე მეტადაა დაინტერესებული საქმის ბედით და ამ პროცესში აუცილებელია დაცულ იქნას მისი უფლებები სრულყოფილად, რათა უზრუნველოფილ იქნას მისი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვა (გახოკიძე, მამნიაშვილი, გაბისონია, ჯანაშია, ტალიაშვილი. 2013წ, გამომც.,,იურისტების სამყარო“, თბილისი, გვ.211). პირს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს პროკურორს დაზარალებულად ცნობის თაობაზე, პროკურორი არკვევს მატერიალურ /ფორმალური საფუძვლებს პირის დაზარალებულად ცნობისათვის ან სხვა პირის ახლო ნათესავის ,,უფლებამონაცვლედ ცნობისათვის'' და იღებს შესაბამის გადაწვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაუყმაყოფილებლობის შესახებ (ფაფიაშვილი, 2015წ, გამომც.,,ბონა კაუზა“, გვ . 219).

დაზარალებულს, როგორც, სისხლის სამართლის პროცესის განსაკუთრებულ სუბიექტს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ პროკურორს ცალკე გამოაქვს დადგენილება მისი პროცესულურ-სამართლებრივი სტატუსის მიღების თაობაზე (გახოკიძე, მამნიაშვილი, გაბისონია, ჯანაშია, ტალიაშვილი, გამომც.,,იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013წ. გვ.213). რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც განცხადებით მიმართვის შემთხვევაში პროკურორი არ აკმაყოფილებს პირის მოთხოვნას მისი დაზარალებულად ცნობის თაობაზე, სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახად, მას აქვს უფლება ერჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან 48 სთ-ში, მას მერე რაც განცხადებას მიიღებს პროკურორი და მასზე არანაირ რეაგირებას არ მოახდენს დაყმაყოფილების კუთხით. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისა, რომლის გასაჩივრება პირს შეუძლია სასამართლოში (სსსკ-ის 56-მუხლის მე-5 ნაწილი). თუ პროცესის მსვლელობისას დადგინდა გარემოება, რომ პირის დაზარალებულად ცნობისათვის საფუძველი არ არსებობდა, პროკურორი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და პირს უხსნის ამ სტატუსს, სსსკ-ის 56-მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამ პირს აქვს ერთჯერადად გადაწვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა ზედგომ პროკურორთან, ზემდგომი პროკურორის გადაწვეტილება საბოლოოა, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისა,

რომლის გასაჩივრება პირს შეუძლია რაიონულ/საქალაქო სასამართლოში (სსსკ-ის 56-მუხლის მე-6 ნაწილი).

საგულისხმოა, რომ თუ საქმეში დაზარალებულად გვევლინება სახელწიფო, მის ინტერესებს იცავს სახელწიფო ბრალდება ,,პროკურორი'', ხოლო თუ დაზარალებულად მიჩნეულია იურიდიული პირი სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას იღებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებებით აღჭურვილი ფიზიკური პირი (ფაფიაშვილი. 2015წ, გამომც. ,,ბონა კაუზა“, გვ. 219). დაზარალებულის უფლებამონაცვლეობის საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულად მიიჩნევს იმ პირებსა და ორგანოებს, რომელთაც უშუალოდ მიადგათ ზიანი - ფიზიკური, ქონებრივი ან/და მორალური, ასევე ე.წ დაზარალებულის ,,უფლებამონაცვლეს''. ამ შემთხვევაში, აუცილებელია უშუალო დაზარალებული იყოს გარდაცვლილი და მას არ შეეძლოს იმ უფლებების რეალიზება, რომელიც მას კანონმდებლობით აქვს მინიჭებული. დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ბრალდება ცნობს ახლო ნათესავს, თუ რა თქმა უნდა ახლო ნათესავებს შორის ამაზე თანხმობაა გაცხადებული, ხოლო როდესაც ერთი დონის ნათესავებს შორის დავაა იმის თაობაზე, თუ რომელი ნათესავი იქნეს დაზარალებულად საქმეში წარმოდგენილი, დავის წარმოშობის შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა წილისყრით განისაზღვრება, საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით (სსსსკ-ის 56-ე მუხლი, მე-3 ნაწილი).

ამ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება **,,ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინაამდეგ“**, საქმის ფაქტობრივი გარემოებებით, დაზარალებულად ცნობას იმ საქმეში, სადაც მათი ერთადერთი შვილის სიკვდილი დადგა, ითხოვდა ორივე მშობელი, ხოლო პროკურატურა მიუთითებდა კანონის იმ ნორმას, რომლითაც მხოლოდ ერთი მშობელი შეიძლება ყოფილიყო ამ საქმეში დაზარალებული. აღნიშნული ცალსახად უჩვენებს საკანონმდებლო ხარვეზს, ვინაიდან მშობელი ადამიანს მხოლოდ ორი ადამიანი ჰყავს ბუნებაში, ორივეს თანაბარი უფლებები და ვალდებულებები აქვს შვილის მიმართ და რაიმე ნიშნით მათი განსხვავება დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და ან

არმინიჭებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია - რა პირობებითა ან კრიტერიუმებით უნდა მოუსპო მშობელს ეს უფლება. აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი ისედაც დათრგუნულ მშობლებს მეტ მორალურ და ადამიანურ დარტყმას აყენებს. ამდენად, აღნიშნული ჩანაწერი მშობლების მიმართ არ უნდა მოქმედებდეს, გარდა კანონით სპეციალურად განსაზღვრული შემთხვევებისა (იხ. ,,ენუქიძე და გირგვლიანი საქ. წინააღმდეგ", 25091/07 გადაწყვეტილება პრ. 250 -252).

აქვე აუცილებელია, ზუსტად განისაზღვროს კანონმდებლის ნება, თუ ვინ შეიძლება იყოს დაზარალებული. უპირველესად იგულისხმება :

1. ფიზიკური პირი (ადამიანი)

2. კერძო / საჯარო სამართლის იურიდიული პირი

3. სახელმწიფო

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში სახელმწიფო, როგორც დაზარალებული, ნაკლებად არის საინტერესო, რადგან პროკურატურა საკმაოდ კარგად წარმოადგენს სახელმწიფოს ინტერესებს ბრალდების პროცესში. ალბათობა იმისა, რომ დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას განუახლდეს ფსიქოლოგიური ტრამვა, მაღალია დაზარალებულის დამნაშავესთან ურთიერთობისას. ამიტომ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ყურადღებას უთმობს დაზარალებულს, როგორც ფიზიკურ პირს. (თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომც.,,იურისტების სამყარო", თბილისი, 2014წ. გვ.168). ზემოთხსენებულ საკითხებთან მიმართებით, ძალზედ მნიშვნელოვანია არსებული ნაკლოვანებების განსაზღვრა და სწორი მიმართულების მიცემა კანონმდებლისათვის, საპროცესო კანონმდებლობაში სამომავლოდ შესატან ცვილებების უზრუნველსაყოფად.

აქვე მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს. კერძოდ პირისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარი შეთანხმებულია ზემდგომ პროკურორთან, ხოლო კანონმდებლის ნება იმასთან დაკავშირებით, რომ პირს აქვს უფლება ზემდგომ პროკურორთან აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების

არის ფორმალური ხასიათის, ვინაიდან მან უკვე იცის საქმის არსებითი ნაწილები და მას თანხმობა აქვს მიცემული რომ აღნიშნულ პირს აღნიშნულ საქმეზე დაზრალებულის პროცესუალური სტატუსი არ მიანიჭონ, ხოლო მისი გადაწყვეტილება დასაბუთებულობის კუთხით არის ძალიან დაბალი ხარისხის მტკიცებულებებზე დამყარებული, აგრეთვე როგორც აღმოჩნდა აღნიშნული უფლებით სარგებლობა დაზარალებულისათვის არის ძალზედ არაეფექტური სხვა უფლებების რეალიზების კუთხით.

რაც შეეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა საქმეებზე დაზარალებულის მხრიდან გასაჩივრების უფლების რეალიზებას პრაქტიკაში, მოგეხსენებათ, უპირველესად გამოძიების ინტერესია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე სწორი კვალიფიკაციის მინიჭება - თუ სახეზეა შესაბამისი დანაშაულის ნიშნები. აქვე აღსანიშნავია, ბრალდების მხარის უფლება იმასთან დაკავშირებით, რომ მას შეუძლია გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე შეცვალოს დანაშაულზე კვალიფიკაცია. ამდენად, გაუგებარია კანონმდებელი რატომ უსპობს დაზარალებულს ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა საქმეებზე გასაჩივრების უფლების რეალიზებას სასამართლოში. აქედან გამომდინარე, ამ პროცესში აუცილებელია დაზარალებულ პირს არ წაერთვას უფლება თვითონ ეძიოს სასამართლოში სამართალი მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების გზით.

ცალსახაა გარემოებები იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა სურს კანონმდებელს აღნიშნული რეგულაციით იგულისხმევა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა საქმეები. ნათელია, რომ ბრალდების მხარის გადაწყვეტილებების მიმართ სასამართლოს კონტროლი, ვინაიდან სასამართლოს შეუძლია მხოლოდ აღნიშნული ზედამხედველობა ეფექტურად აწარმოოს პროკურატურის მიმართ და ისე რომ პროურორმა თავისი დისკრეციული უფლებამოსილება ბოროტად არ გამოიყენოს და ამით არ შებოჭოს დაზარალებულის უფლებები დაუსაბუთებლად, აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია არსებობს ევროპის მრავალი ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობებში.

საინტერესოა, განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულთა საქმეების სისხლისამართლებრივი დევნისა და გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილებების

სტატისტიკური ანალიზი პრაქტიკის მიხედვით, რომელიც აჩვენებს, რომ პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისამართლებრივი დევნის/გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილებები უფრო ნაკლებია რაოდენობრივად, ვიდრე ნაკლებად მძიმე დანაშაულთა საქმეების მიმართ მიღებული ამ ტიპის გადაწყვეტილებები. აღსანიშნავია, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განსაზღვრება, რომელშიც არ იგულისხმება ხელისუფლების სამივე შტოს ერთიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ბრალდების მხარის შეუზღუდავ უფლებამოსილებას (ნაცვლიშვილი. 2016წ გვ. 10). სწორედ აღნიშნულის პრევენციის მიზნით, აუცილებელია პროკურორის დისკრეცია სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცეს, რისი უზრუნველყოფის ეფექტურ საშუალებას სასამართლო კონტროლი წარმოადგენს. პროკურორი, პრაქტიკულად, იძულებული გახდება დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეინარჩუნოს მიუკერძოებლობა და სამართლიანობა.

ამდენად, საკმარისი არაა დაზარალებულმა შეიტყოს მართლმსაჯულება, არამედ უნდა დაინახოს და დაიჯეროს მართლმსაჯულების განხორციელება, ისე რომ ყველა კითხვის ნიშანს გაეცეს პასუხი ამომწურავად და დამაყმაყოფილებლად.

1.3 დაზარალებულის მოთხოვნილება ადამიანურ ,,ჰუმანურ" მოპყრობაზე

სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დღეს დღეისობით უდიდეს პრობლემას წარმოადგენს პრაქტიკაში არსებული მიდგომები დანაშაულის მსხვერპლთან მიმართებაში, კერძოდ მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის და ადვოკატის მიერ დაზარალებულთან კომუნიკაციისას არაგონივრული მოპყრობა ეს დაკითხვისას იქნება გამოკითხვისას თუ უშუალოდ სასამართლოს დარბაზში. სისხლის სამართლებრივი გამოძიებისას ასევე სასამართლო პროცესის მსვლელობისას დაზარალებულის გადაქცევა, როგორც ,,სიმართლის გაგების ობიექტად'' უფრო მეტიც, ამერიკელები ,,დაზარალებულს ბრალმდებლის მოსიარულე სამხილს უწოდებენ" (ი. ჩხეიძე, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, ,,მართლმსაჯულება და კანონი N2", თბილისი, 2013წ გვ. 118). ამ დროს ეს კონკრეტული

ფაქტი მასში იწვევს ძალზედ უარყოფით გრძნობებს, რაც დაზარალებულმა უკვე განიცადა ერთხელ დანაშაულის ჩადენისას. დანაშაულის მსხვერპლის დაკითხვა მოსამართლის მიერ ისე რომ ამ დაკითხვას ესწრება ბრალდებული მსხვერპლი შესაძლებელია ჩააგდოს მძიმე სტრესში, ვინაიდან მისი დამნაშავესთან შეხვედრა იწვევს ხელახალი ტრამვის წარმოშობას (მეორადი ვიქტიმიზაცია). ამიტომაცაა პრაქტიკულად სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულისათვის სტრესის მიყენების გარეშე წარმოუდგენელია სამართალწარმოება, რადგან სახელმწიფოს ასევე მსხვერპლის ინტერესებში შედის **,,სიმართლის გარკვევა"**, რაც მოითხოვს დაზარალებულის მხრიდან კონკრეტულ დათმობებზე წასვლას და ,,მსხვერპლის გაღებას'' (შალიკაშვილი. 2011წ. გვ.126). ამდენად, უმნიშვნელოვანესია მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის და ასევე ადვოკატის მხრიდან, დაზარალებულთან კომუნიკაციისას აწარმოონ სათუთი, ფრთხილი და ჰუმანური მოპყრობა გამოკითხვის, ასევე დაკითხვის დროს.

ვინაიდან, ძალადობრივ ასევე სექსუალურ დანაშაულთა საქმეებზე მსხვერპლს აღენიშნება პოსტტრამვული პრობლემები (სტრესული მდგომარეობა). დანაშაულის მსხვერპლს პოსტტრამვული ფსიქიკური აშლილობა აღენიშნება მას მერე, თუ იგი შემსწრეა ომის, სხვადასხვა უბედური შემთხვევების, ან მის მიმართ ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული. პოსტტრამვული პერიოდი შესაძლოა გაგრძელდეს თვეების ან წლების განმავლობაში, რაც გამოიხატება მომხდარის ინტენსიურ გახსენებაში, ასევე მომხდარის სიზმრად გამოცხადებაში, თვითმკვლელობის ჩადენის ფიქრებში (დეტ. იხ. Shneider,H.J.1999, 127-129 Die gegenwartige Situation des Verbrechensopfers, Fortschritte und Probleme der Viktimologie-Forschung.OJZ. S121; შნეიდერ, 1999, გვ.127), ახლობელ ადამიანთა გაუცხოვებაში, შიშში და ბოლოს დეპრესიაში. ასეთ პირობებში დანაშაულის მსხვერპლის დაკითხვა ან გამოკითხვა სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში ბუნებრივია მტკივნეული და სტრესულია (შალიკაშვილი, 2011წ გვ.126-127).

სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში იმ მსხვერპლთა ხშირი დაკითხვა დაუშვებელია, რომლებაც განიცადეს სექსუალური სახის დანაშაული თავიანთ თავზე, ვინაიდან მათი მრავალჯერ დაკითხვა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მასში იწვევს ხელახალ ფსიქოლოგიურ ტრამვას. ამიტომაცაა დასაბუთებული მოსაზრება იმის

შესახებ, რომ ამ ტიპის დაზარალებულს ფრთხილად და სათუთად მოეპყრან, ვინაიდან მან მოახერხოს თავდაჯერებლობის შენარჩუნება და იგრძნოს მისი მოკავშირე სამართალდამცავი ორგანოების სახით (შალიკაშვილი, 2011წ. გვ.127). სექსუალური და ძალადობრივი დანაშაულების მსხვერპლები, ხშირ შემთხვევაში, მომხდარის შესახებ მოგვიანებით ყვებიან, გარკვეული პერიოდის შემდეგ. ამიტომაცაა აუცილებელი, ამ სახის მსხვერპლთა დაკითხვა გახორციელდეს კანონით რაც შეიძლება დიდი დროის შემდეგ, ვინაიდან პირველივე დაკითხვაზე შესაძლოა ვერ/არ ისაუბროს მომხდარის დეტალებზე, ასევე სექსუალური დანაშაულის მსხვეპლმა შესაძლოა დაკითხვისას ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები მისცეს დამკითხავ პირს. ამდენად სამართალდამცავები არ უნდა დაეჭვდნენ მისი ჩვენებით. დაზარალებულისათვის უმნიშვნელოვანესია მისთვის განკუთვნილი მოსაცდელი ოთახი იქნას კომფორტული და არ მოხდეს მისი შეხვედრა ბრალდებულთან ან მის რომელიმე წარმომადგენელთან. ასევე აუცილებელია დაზარალებულთა მოსაცდელ ოთახში იყოს საინფორმაციო ბროშურები განთავსებული, კერძოდ : იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების მიზნით, ასევე მსხვერპლს შეეძლოს საინფორმაციო ბროშურების წაღების შესაძლებლობა (შალიკაშვილი. 2011წ, გვ. 127-128).

ზემოთხსენებული გარემოებების გათვალისწიებით აუცილებელია დაზარალებული მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსამართლემ პროკურორმა, გამომძიებელმა და ადვოკატმა მოეპყრან მას ჰუმანურად, რაც ხელს შეუწყობს ერთის მხრივ დაზარალებულის აქტიურ ჩართვას სისხლსი სამართლის პროცესში სიმართლის დადგენის კუთხით და ასევე მეორეს მხრივ მსხვერპლისათვის ფსიქოლოგიური თანადგომის გამოხატვას, რაც დაზარალებულში ჰპოვებს გამოხატვას იმისას რომ მან თავი იგრძნოს დაცულად და არა მხოლოდ პროცესის ,,ობიექტად'', რითაც მოხდება მეორედ და მესამედ ვიქტიმიზაციის პრევენცია (შალიკაშვილი. 2011წ გვ.128)

მსხვერპლის მოთხოვნის გარანტია - ,,არ შეხვდეს დამნაშავეს პირისპირ"

პრაქტიკის მიხედვით, უმეტეს შემთხვევებში, დანაშაულის მსხვერპლს ეშინია დამნაშავესთან პირისპირ შეხვედრის, ვინაიდან მასთან შეხვედრა მსხვერპლში იწვევს იმ

წარსულის გახსენებას რის საფუძველზეც აღმოცენდება პოსტტრამვული სტრესი (ფაფიაშვილი. 2015წ გვ. 224). გამომდინარე აქედან, ხშირ შემთხვევაში მსხვერპლს სურს მისი სიცოცხლის მანძილზე არასოდეს შეხვდეს დამნაშავეს. ასეთი ტიპის შიში შესაძლოა, არამარტო სექსუალური დანაშაულის მსხვერპლს ჰქონდეს, არამედ ყაჩაღობისას, თავისუფლების უკანონო აღკვეთისას, ძარცვისას, ძალადობისას და სხვა მძიმე დანაშაულთა საქმეებზე, სადაც მსხვერპლი ძირითადად ფიზიკური პირია. ნებისმიერი დანაშაულის მსხვერპლისათვის კონკრეტული დანაშაულის განხორციელება მის მიმართ წარმოადგენს ,,ტკივილით აღსავსე '' ფაქტს, შესაბამისად სამართალდამცავმა ორგანოებმა, თუ კანონით შესაძლებელია ოპტიმალური ხერხები უნდა ეძიონ იმისათვის რომ გამოძიების ეტაპზე ბრალდებულსა და მსხვერპლის შეხვედრა არ მოხდეს, ასევე სამართალდამცავებმა მაქსიმალურად უნდა სცადონ მსხვერპლთან დაამყარონ უშუალო და ადამიანური ურთიერთობა საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე (შალიკაშვილი 2011წ. გვ.130).

ყოველივე ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, თუ კანონით შესაძლებელია და ბრალდებული ამაზე თანახმაა, დაზარალებულმა და ბრალდებულმა ჩვენებები სასამართლოს უნდა მისცენ დროის სხვადასხვა მონაკვეთში ან სასამართლო შენობის სხვადასხვა სართულზე ისე, რომ მათი შეხვედრა გამოირიცხოს რაიმე ფორმით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, სექსუალური დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვნების დაკითხვის თავისებურება. ზოგიერთი მეცნიერი განმარტავს, რომ აუცილებელია მსხვერპლისა და დამნაშავის დაკითხვა პროკურატურაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში წარმოებდეს აუდიო - ვიდეო აპარატურის გამოყენებით, იმ დროს, როცა შენობაში არც ბრალდებული და არც მისი სხვა წარმომადგენელი არ იქნება წარმოდგენილი ამ ხერხით მოხდება დანაშაულის მსხვერპლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ასევე ხელახალი ტრამვის მიყენების პრევენცია. აღნიშნული შეხედულება ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ ბრალდებულის უფლებას და მისი პრაქტიკაში გამოყენება დაუშვებელია (იხ. McDonald BL,M.(2012).Know Your Rights on the Victims' Directive. IRELAND: JUSTICIA, page. 23).

1.4 მსხვერპლის მოთხოვნილება მოხდეს მისი რესოციალიზაცია

დაზარალებულის მოთხოვნილება რესოციალიზაციაზე გულისხმობს, მაქსიმალურად სწრაფ ვადებში მოხდეს მსხვერპლის ფსიქო-სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს. დანაშაულის მსხვერპლთა უმრავლესობა ითხოვს რომ მოხდეს მისი ზიანის სრული კონპენსაცია, მაგალითად - ეკონომიკური დანაშაულის ჩადენისას ქონების უკან დაბრუნება. ხოლო ჯანრთელობისა და ძალადობის დანაშაულთა საქმეებზე დაზარალებულებს სურთ სრული განკურნება, ასევე ფსიქო-რეაბილიტაცია. მსხვერპლთათვის მნიშვნელოვანია სამართალდაცავებმა მოახდინონ ადეკვატური რეაგირება ჩადენილი დანაშაულთა მიმართ, მსხვერპლი ამ ფაქტით აუცილებლად გამოხატავს მადლიერებას, მიუხედავად იმისა მოხდება თუ არა დამნაშავის დასჯა მოგვიანებით სისხლის სამართლის წესით (Kilching, M 2002, 59-61 Opferschutz und der strafanspruch des states -Ein widerspruch? In Nstz (Neue Zeitschrift Fur Strafrecht) ; კალიჩიგ 2002. Pg.60). მსხვერპლისათვის აუცილებელია დამნაშავემ აღიაროს, რომ იგი დამნაშავეა, მისი საქციელი საზოგადოებრივად მიუღებელია და მან დაშვა შეცდომა (შალიკაშვილი. 2011წ გვ.133).

დანაშაულის მსხვერპლს განსაკუთრებით ძალადობრივი დანაშაულისას ესაჭიროება სამართალდამცავი ორგანოებისაგან ფაქტის აღიარება. აღნიშნული წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისა, რომ მსხვერპლმა მიყენებული ტრამვა გადაიტანოს შედარებით მსუბუქი ფორმით (ციცინო გახოკიძე, მიხეილ გაბუნია. კრიმინოლოგია, გამომც. ,,იურისტების სამყარო“, ქ.თბილისი, 2017წ, გვ.81-82). მსხევრპლთა უმრავლესობას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობა გააჩნია, ვინაიდან სახელმწიფომ იგი ვერ დაიცვა და სწორედ ამიტომაცაა იგი დანაშაულის მსხვერპლი, ასეთ დროა აუცილებელია სამართალდამცავებმა სწრაფად აღადგინონ ის დაკარგული ნდობა მსხვერპლში, რაც არსებობდა დანაშაულის ჩადენამდე.

გარკვეულ დანაშაულთა საქმეებზე მსხვერპლს უჩნდება სიძულვილის გრძნობა, ამიტომაც აუცილებელია სახელწიფოს კომპეტენტური ორგანოების მხრიდან განხორციელდეს ღონისძიებები სიძულვილის დასაძლევად და მოხდეს მისი ჩვეულებრივ საზოგადებრივ ურთიერთობებში ჩართვა (შალიკაშვილი, 2011წ გვ.134).

ზოგიერთ დანაშაულთა საქმეებზე მნიშვნელოვანია დაზარალებულს აუნაზღაურდეს არა მხოლოდ მატერიალური ზიანი, არამედ მორალურ-სამართლებრივი კომპენსაციაც, ხოლო რაც შეეხება იმ კატეგორიის საქეებზე, სადაც დაზარალებულმა განიცადა მხოლოდ მატერიალური ზიანი და არ განუცდია სხეულის დაზიანება, იგი თანახმაა მხოლოდ ნივთის დაბრუნების სანაცვლოდ ყოველგვარი პრეტენზიისგან თავი შეიკავოს. რაც შეეხება ძალადობრივ დანაშალებს, ასევე სექსუალური სახის დანაშაულებს ამ შემთხვევაში აუცილებელია მსხვერპლმა მიიღოს ფინანსური კონპენსაცია ფსიქოლოგიური თერაპიის დასაფინანსებლად, ვინაიდან პოსტტრამვულ პერიოდში აუცილებელია მსხვერპლმა თერაპიის გზით შეიმსუბუქოს მიყენებული ტკივილი (შალიკაშვილი. 2011წ. გვ 134.)

უახლესმა მეცნიერულმა გამოკვლელებმა ცხადყვეს, რომ მსხვერპლის რესოციალიზაციას გააჩნია სამი ძირითადი პრევეციული ხასიათის ზემოქმედების ღონისძიება, ესენია: 1) დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება. 2) მეცნიერების მიერ ჩატარებულმა ვიქტიმოლოგიურმა კვლევებმა ცხადყვეს, რომ რევიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად აცილებელია კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება, რაშიც იგულისხმება რესოციალიზაცია, ამიტომაც აცილებელია მსხვერპლის რესოციალიზაციისათვის მოხდეს რაც შეიძლება სწრაფი და ეფექტური მოქმედებები. 3) რესოციალიზაციის მეშვეობით ხდება მსხვერპლში ნდობის ამაღლება სახელმწიფოში არსებული სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ და ასევე კანონებისათვის, რომლითაც ხდება დაზარალებულის უფლებების რეალიზება და მისი დაცვა სამართლებრივ სივრცეში. სწორედ ეს პროცესი აუცილებელია ისეთ პირობებში, როდესაც დაზარალებლს დაკარგული აქვს იმედი სახელწიფოს მიერ მის დაცვაზე და ფრუსტრირებულია სამართალდამცავთა მუშაობით (შალიკაშვილი.2011წ გვ.135; აგრეთვე იხ. ჯემალ გახოკიძე, მიხეილ გაბუნია. კრიმინოლოგია, გამომც. ,,იურისტების სამყარო, ქ.თბილისი, 2014წ, გვ. 94).

ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწიებით, ცხადია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დაზარალებულის ჩართვა სისხლის სამართლის პროცესში აქტიურად და კონკრეტული როლი შეასრულოს გამოძიებაში თუ სასამართლოს

განხილვის ეტაპზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზარალებული ,,ჩაიკეტება'' და განაცხადებს, რომ მას არ ახსოვს დეტალები, რაც ახსოვს ეგეც ეეჭვება და ბოლომდე დარწმუნებლი არ არის კონკრეტული მოვლენების სისწორეში. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტი ობიექტრობის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია (Schneider.H,j/შნეიდერ 1999.pg.129). მსხვერპლი ასეთ მდგომარეობაში ,,სამართლიანი სახელწიფოსგან'' თავს ეულად გრძნობს და უჩნდება სურვილი თავისი ძალებით აღასრულოს სამართალი, რეალურად დაზარალებულის სტატუსი ნაცვლად მიიღოს ახალი სტატუსი ,,დამნაშავე'', მაშასადამე ჩაიდინოს დანაშაული (შალიკაშვილი.2011წ. გვ.135).

მსხვერპლში არსებულმა სიძულვილმა სახელწიფოსა და საზოგადოების მიმართ შესაძლოა მას უარი ათქმევინოს, მოქალაქეობრივ ვალდებლებებზე, მაგ: საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობაზე ან დანაშაულის შესახებ განცხადების გაკეთებაზე. დაზარალებულის მიერ უნდობლობის გამოხატვა სახელმწიფოს მიმართ შესაძლოა გამოვლინდეს მისი მხრიდან არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმით, ასევე სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლაზე უარის თქმით ან სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც მოწმედ ნებაყოფლობით გამოცხადებაზე უარით. დაზარალებულის რესოციალიზაცია ემსგავსება ,,სპეციალური პრევენციას'', რომელიც მიზნად ისახავს დაზარალებულის დაცვას მასთან ინდივიდუალური მიდგომით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი რევიქტიმიზაცია (შალიკაშვილი.მ. 2011წ გვ.136).

თავი II. დაზარალებულის აქტიური საპროცესო უფლებები და სტატუსისმიერი ვალდებულებები

2.1 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

სსსკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, პირს დაზარალებულის სტატუსით აქვს უფლება მოითხოვოს სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამ ნორმის შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პირს ნებას რთავს რომ მან იდავოს სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სასამართლოში თუ მან დანაშაულის შედეგად ან უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედების შედეგად ზიანი განიცადა (იხ. სსსკ-ის 92-ე მუხლის 1-ლი და 2-ე ნაწილი). სწორედ, აღნიშნული უფლების უზრუნველყოფას ემღვნება ევროპული კონვენციის ის სავალდებულო დათქმა მაღალი ხელისშმკვრელი მხარეების მიმართ, რომელიც მოუწოდებს არ დაარღვიონ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, ხოლო დარღვევის შემთხვევაში მათ სახელწიფოში შექმნან პოზიტიური გარემო იმისათვის, რომ მათ სათანადოდ დაიცვან მსხვერპლის უფლებები (ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გამომც. ,,იურისტების სამყარო“, თბილისი, 2010წ. გვ.59).

დაზარალებულს უნდა შეეძლოს ზიანის ანაზღაურების სწრაფად მიღება როგორც რესტიტუციის, ისე კომპენსაციის თვალსაზრისით (გაეროს დეკლარაცია ,,დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“, მუხლი4.), ამასთან დამნაშავეებმა და მესამე მხარეებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თავიანთ ქცევაზე, თუ შესაძლებელია, სამართლიანი რესტიტუცია უნდა უზრუნველყონ დაზარალებულებისათვის, მათი ოჯახებისათვის ან მათ კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის (გაეროს დეკლარაცია ,,დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“, მუხლი 8).

<u>ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ფიზიკური ზიანისას</u>

ზოგადად ზიანის ქვეშ იგულისხმება ფიზიკური, ფსიქიკური და ქონებრივი ზიანი, ხოლო თვითონ ზიანი განიმარტება, როგორც პირის ინტერესის ხელყოფა, სულერთია ეს ხელყოფა ქონებრივი იქნება თუ არაქონებრივი, ხოლო მისი ანაზღაურების მხრივ შესაძლებელია, როგორც ფულადი სახით, ასევე ნატურით. დოქტრინაში უმეტესად ზიანის ანაზღაურებაში მოიაზრებენ ფულადი თანხით ანაზღაურებას, თუმცა შესაძლებელია მისი ანაზღაურება ნატურითაც მოხდეს (ჭანტურია,ზოიძე, ნინიძე, შენგელია, ხეცურიანი.2001წ. გვ.452). როგორც უკვე აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელია პირმა მოითხოვოს ფიზიკური ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოებით, სწორედ ამ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი. მოცემული ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც საუბარია სხეულის დაზიანებაზე, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, სწორედ ამ ფასეულობაზე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება გამოწვეულია მისი განსაკუთრებული ადგილით უფლებათა საერთო იერარაქიაში. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება წარმოადგენს ადამიანის აბსულუტურ უფლებებს და სამართლებრივი დაცვის საგანგებო საგანსაც, ამიტომაცაა რომ მათი დაცვა და შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება გარანტირებულია ყოველგვარი სახელშეკრულებო წარმოების გარეშე.

სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებზე გამოიყენება ზიანის ანაზღაურების არასახელშეკრულებო ,,დელიქტური'' პასუხისმგებლობის ფორმა (ჭანტურია, ზოიძე, ნინიძე შენგელია, ხეცურიანი. 2001წ. გვ. 453). ფიზიკური ზიანის მიყენების შემთხვევაში პირს შეიძლება წაერთვას შრომის უნარი, აქედან გამომდინარე სასამართლო ვალდებულია ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას გაითვალისწინოს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის სიმძიმე, პირმა მარტო შრომის უნარი დაკარგა თუ საერთო შრომის უნარი, შესაძლებელია დაზარალებულს მარტოოდენ შრომის უნარი შეუმცირდეს. ასევე შესაძლებელია მიყენებული ზიანის შედეგად, მხოლოდ მოთხოვნილებები გაეზარდოს, ვთქვათ თუ პირს ზიანის შედეგად ესაჭიროება სპეციალური კვება ან დასვენება, ასეთ შემთხვევაში

მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს ყოველთვიური სარჩოს მიხედვით (ჭანტურია,ზოიძე,ნინიძე,შენგელია,ხეცურიანი. 2001წ. გვ. 454).

პირის მკურნალობისათვის აუცილებელი ხარჯები შეიძლება ანაზღაურდეს როგორც, მკურნალობის შემდეგ, ისე მანამდეც. აღნიშნული გარმეობის არსებობა დამოკიდებულია თვით დაზარალებულზე ვინაიდან მისი მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება ანაზღაურდეს მას ზიანი, რაც შეეხება ყოველთვიური სარჩოს გადახდას მისი გადახდა შეიძლება, როგორც ფულადი სახით ისე ნატურითაც, ასევე პირს უფლება აქვს დამზიანებისგან მიიღოს ზიანის სრული ერთბაშად გადახდა, ოღონდ მას საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა გააჩნდეს, ხოლო ასეთი ზიანის არსებობა დამოკიდებულია მიყენებული ზიანის ხარისხზე, ხასიათზე და ასევე დაზარალებულის ინტერესებზე (ჭანტურია, ზოიძე, ნინიძე, შენგელია,ხეცურიანი.2001წ. გვ. 455; აგრეთვე იხ. - თემურ მონიავა, პირადი არაქონებრივი უფლებები, გამომც. ,,მერიდიანი“, ქ.თბილისი, 2004წ, გვ. 58-59).

მორალური ,,არაქონებრივი” და სხვა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის დეფინიციას, შესაბამისად აღნიშნული საკითხის განმარტება დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის საქმეა, თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ კოდექსი იძლევა არაქონებრივი ზიანის ანაზღარების შესაძლებლობას (ჭანტურია, ზოიძე, ნინიძე, შენგელია,ხეცურიანი. 2001წ. გვ. 468). აღსანიშნავია, ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში ის ფაქტი, რომ მორალური ზიანის ცნების შესახებ ერთსულოვნებაა, მაგ. პროფესორი შ. ჩიკვაშვილი მიიჩნევს, რომ მორალური ზიანია ადამიანის ფიზიკური ან ფსიქიკური ტრამვა, რომელსაც ფულადი ეკვიკალენტი არ მოეძებნება (შალვა ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, გამომც. ,,მერიდიანი“, ქ.თბილისი, 2006წ, გვ. 55). ამ საკითხთან მიმართებით მიმართებით მნიშვნელოვანია პროფესორ თ. ნინიძის განმარტება, რომ მორალური ზიანის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სამართლებრივად

დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ექვივალენტი არ მოეძებნება (სუხიტაშვილი.დ და სუხიტაშვილი. თ, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, გამომც.,,მერიდიანი", თბილისი, 2016წ. გვ. 230) აგრეთვე, ამ საკითხის განმარტების საქმეში უმნიშვნელოვანესია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული დეფინიცია, არაქონებრივი ზიანის ნორმატიული საფუძვლის განსაზღვრასთან დაკავშირებით (იხ. მოქალაქე თ-ის საკასაციო სარჩელი საქმეზე # ას. 1156-1176- 2011. 20. 01 2012), პალატამ განმარტა რომ კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება ადგილი ქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, რომლის ანაზღაურება დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ე.ი კანონი ზუსტად ადგენს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს პირმა არაქოებრივი ზიანისათვის ანაზღაურება.

ამდენად, კანონის მიზანია შეამციროს შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი. ადამიანის ჯანმრთელობა წარმოადგენს სკ-ის 413-მუხლის მე-2 ნაწილით დაცულ ერთ -ერთ სიკითეს, რომლის ხელყოფის შემთხვევაში დაზარალებულს აქვს უფლება სასამართლოს წესით მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება, აღნიშნული ნორმით შედეგის წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რომლის თანამხადაც დაზარალებულმა მიიღო ფსიქიკური სტრესი, განიცადა სულიერი ტანჯვა, ხოლო ქონებრივი ზიანისას დაუშვებელია პირმა მიიღოს ჯანმრთელობის დაზიანება და ამის შედეგად ფსიქიკური ტანჯვა. ამ საფუძვლით დაუშვებელია, პირმა იდავოს სასამართლოში სსკ-ს 413-ე მუხლით დაცული სიკეთის უზრუნველყოფა.

მორალურ ზიანთან დაკავშირებით, აგრეთვე მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (კასატორ ბ-კს საქმეზე #ას-1477-1489-2011. 03. 04. 2012), რომლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობის ვნების მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია, მიყენებული ზიანის ანაზღაურება მიყენებული არაქონებრივი ზიანისთვის. სასამართლო განარტა, რომ **,,მორალური ზიანი" გულისხობს**

სულიერი გრძობებისა და ურთიერთოების სფეროში მიყენებულ ზიანს. შესაბამისად, დაზარალებული, რომელიც მიიღებს ჯანმრთელობის დაზიანებას, თავისთავად იწვევს მის ორგანიზმში არასასურველ ნეგატიურ ცვლილებებს, რაც თავის მხრივ იწვევს დაზარალებულის ფსიქიკურ ტანჯვას (მორალურ ზიანს), ხოლო სამოქალაქო სამართლებრივი ზიანის ასანაზღაურებლად აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი საფუძველი. ესენია : 1) თვით მორალური ზიანის ფაქტი; 2) ზიანის მიმყენებლის მიერ არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა; 3) არამართლზომიერ მოქმედებასა და მორალურ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა; 4) აღნიშნული ზიანი გამოწვეული უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის ბრალეული მოქმედებით ან უმოქმედობით. აქედან გამომდინარე, მორალური ზიანის ანაზღაურების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ობიექტური ზიანის ფაქტი დაზარალებულის ჯანმრთელობაზე ან ფსიქიკაზე, ზიანის მიმყენებლის ბრალეული მოქმედებით (იხ. კასატორი ბ-კს საქმეზე. #ას-1477-1489-2011. 03. 04. 2012).

მორალურ ზიანთან მიმართებაში ძალიან საინტერესოა ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ,,**გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ“,** სადაც განმცხადებელი თავს დაზარალებულად მიიჩნევს, კერძოდ პირადი ცხოვრების ხელყოფისა გამო, პიროვნების პატივისცემის უფლების შელახვის ჩათვლით, ვინაიდან სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა ნებისმიერი პირის უფლებათა დაცვა ნეგატიური ზემოქმედებისგან. იგი სახელმწიფოს ადანაშაულებდა ამ უფლების შელახვაში, ვინაიდან ამ უკანასკნელმა ვერ უზრუნველყო ადამიანის ფუნდამენტური უფლების დაცვა. ზიანი გამოიხატა შემდეგი ფორმით, ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა სტატია, სადაც გურგენიძე იყო დადანაშაულებული ,,კონსტანტინე გამსახურდიას'' ხელნაწერის მოპარვაში, ასევე სტატიას თან ახლდა ამ პიროვნების ფოტოსურათიც, სადაც იდენტიფიცირება ამ პიროვნების უპრობლემოდ შეიძლებოდა.

აქედან გამომდინარე მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ დაირღვა მისი მორალური უფლება პიროვნულობის ჩათვლით, იგი მიიჩნევს უარყოფითი გავლენა მოახდინა ამ ყველაფერმა მეგობრებთან და ოჯახთან ურთიერთობაზე, ასევე წლების განმავლობაში

სტუდენტებთან და კოლეგებთან დამყარებულ კავშირებზე. მართალია, ევროპული კონვენცია ადამიანის პატივისა და რეპუტაციის უფლებას არ იცავს, თუმცა იგი ნებას არავის რთავს პირის ,,ინტიმურ'' სფეროში ჩარევისა, ვინაიდან ყველა ადამიანს აქვს პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზების შეუზღუდავი უფლება, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, ეს პროფესიულ წრეში იქნება თუ კომერციულ ურთიერთობებში.

სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დარღვევა ერთხმად დაადასტურა, რომ პირის პირადი უფლებები, როგორც პიროვნების, რომლის განუყოფელი ნაწილია ადამიანის მორალური უფლება, რომლის დარღვევა ამ საქმეში სახეზეა, შესაბამისად ამ უფლების დარღვევაც სახეზეა. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაზარალებულად ცნო ბ-ნ გურგენიძე და მის სასარგებლოდ სახელმწიფოს დააკისრა 4 000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ და 21 116 ევრო- სასამართლოს ხარჯების დასაფარად (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. გურგენიძე. დ საქართველოს წინააღმდეგ. 2006წ. გვ.74.)

ადამიანის უფლებათა ევოპული სასამართლო ძირითადად ამ ტიპის დარღვევებზე, როდესაც ხელყოფილია ადამიანი პირადი უფლებები (მორალური) უფლებები, შემოიფარგლება მხოლოდ მატერიალური ანაზღაურებით, რომლის გადახდასაც დამრღვევ სახელმწიფოს აკისრებს. საკითხავია რამდენად უზურველყოოფს უკვე დარღვეული უფლების კონპენსირებას და გახმაურებული ,,ცრუ'' ცნობების გაქარწყლებას ძირითად პასუხისმგბლობად თანხის გადახდის დაკისრება ?! (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. დ გურგენიძე.საქართველოს წინააღმდეგ. 2006წ გვ. 72.)

სამოქალაქო სამართალში მორალური ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმების განსაზღვრა წარმოადგენს პრობლემურ საკითხს, სწორედ ამ პრობლემატიკის განსაზღვრისას აუცილებელია პირველ რიგში ყურადღება მიექცეს, მიყენებული ზიანის სახეს, რაც დაზარალებულმა ობიექტურად განიცადა (აღნიშნულთან დაკავშ. იხ. - თემურ მონიავა, პირადი არაქონებრივი უფლებები, გამომც. ,,მერიდიანი", ქ.თბილისი, 2004წ, გვ. 64-65). სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულებაა, ქვეყანაში უზრუნველყოს

სამართლიანობისა და მართლწესროგის პრინციპი, ამ მიზნით იგი ასევე ვალდებულია დაიცვას ფიზიკური თუ იურიდიული პირების უფლებები. ამ კონტექსტში აუცილებელია გამოიყოს მორალური ზიანისათვის პასუხიმგებლობის საკითხი. ვინაიდან, მორალური ზიანის დაზარალებულისათვის უფრო მძიმე ასატანია, ვიდრე სხვა ქონებრივი დანაშაულით დამდგარი სხვა არასურველი შედეგი, აგრეთვე მორალური ზიანის ფაქტი დაზარალებულში იწვევს მთელი ცხოვრების დამახინჯებას, ძლიერი ნერვული მოშლილობის ფონზე შესაძლოა მას განუვითარდეს სერიოზული დაავადები და საქმე ფატალურ შედეგამდეც კი შეიძლება მივიდეს (ბარაბაძე, მართლმსაჯულება და კანონი N3, თბილისი, 2013.წ გვ.3).

როგორც აღვნიშნეთ, მორალური ზიანის ერთ-ერთი მახასიათებელია ნიშანთვისებაა - ადამიანის ფსიქიკურ და სულიერ სფეროებში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, სწორედ ასეთ ფორმას განეკუთვნება პირისათვის ცრუ ცნობების გავრცელება. ამ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია აშშ-ს კალიფორნიის შტატის სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც საქმეს იხილავდა მოპასუხის სააპელაციო სარჩელის საფუძველზე, დადგენილად იქნა მიჩნეული ფაქტი ცილისწამების შესახებ და მოპასუხესს დააკისრა ორი სახის პასუხუსმგებლობა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად: ერთი პასუხიმგებლობა ცილისწამებისთვის განუსაზღვრა, ხოლო მეორე - მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. აღნიშნული გადაწყვეტილება გაუგებრობას იწვევს რატომ დააკისრა სასამართლომ ორი სახის პასუხისმგებლობა, თუკი ცილისწამება წარმოადგენს მორალური ზიანის ერთ-ერთ სახეს?! (გ. ბარაბაძე, მართლმსაჯულება და კანონი N3, თბილისი, 2013წ. გვ.3).

მორალური ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმების დადგენა ქონებრივი ზიანის მიყენებისაგან განსხვავებით შედარებით უფრო რთულია, რადგან ქონებრივი ზიანის შემთხვევაში ზიანის დადგენა ფულადი სახსრებით შესაძლებელია. ხოლო რაც შეეხება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების ხელყოფისას, ზიანის ანაზღაურებისას გასათვალისწინებელია მიყენებული დაზიანების სიმძიმე და დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ბარაბაძე. 2013წ. გვ. 5). აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ნათელია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაზარალებულისათვის

მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართალწაროების გზით, ასევე ანაზღაურების სამართლიანი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

2.2 ინფორმაციის გაცნობის უფლება

დაზარალებულმა მისთვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობისათვის აუცილებელია გამოიყენოს უფლება, რომელიც გულისხმობს პროცესის მსვლელობისა და საქმის მასალების თაობაზე ინფორმაციის მიღებას, დაზარალებულის ინფორმირებულობის კუთხით მის აუცილებლობას ხაზს უსვამს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012/29/EU დირექტივა - ,,დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ''. აღნიშნულის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა სამართალდამცავ ორგანოებს ავალდებულებს დაზარალებულის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში მას მიაწოდონ ამომწურავი ინფორმაცია საქმეზე. განსაკუთრებით გამოყოფს საქმეზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომლის გაცნობის ვალდებულება დაზარალებული მიერ მოთხოვნის მიუხედავად გააჩნიათ, მაგალითად : 1) ბრალდების მხარე ვალდებულია დაზარალებულს დეტალური ინფორმაცია მიაწოდონ მის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, საქმეზე საპროცესო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით, რაშიც იგულისხმება დროის, ადგილის და სხვა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება საქმეზე; 2) ბრალდებულის ბრალდებულის მაგისტრატ მოსამართლესთან წარდგენასთან დაკავშირებით; 3) წინასასამართლო სხდომის გამართვასთან დაკავშირებით; 4) სასამართლოს მთავარი სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებით; 5) სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის სხდომასთად დაკავშირებულ დეტალებზე (თუმანიშვილი. 2014წ გვ. 175); 6) სასამართლოს სხდომის სასჯელის შეფარდების შესახებ; 7) სააპელაციო და საკასაციო სასამართლო სხდომების ჩატარები დრო და ადგილის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

დაზარალებულს საპროცესო კანონმდებლობით აქვს უფლება, უფასოდ მიიღოს გამოძიების ან სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ასლები, აგრეთვე სხვა სასამართლოს მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებების ასლები. პროკურორი ასევე ვალდებულია, სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული დადგენილების ასლი გადაუგზავნოს დაზარალებულს, დაზარალებული ინფორმირებულობის აუცილებლობას ისიც უსვამს ხაზს, რომ სანამ პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას სისხლისამართლებრივი დევნის არ დაწყების თაობაზე, იგი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, რის თაობაზე პროკურორი ადგენს შესაბამისად ოქმს, სადაც ასახული იქნება დაზარალებულის დამოკიდებულება პროკურორის მიერ შესაძლო გადაწყეევტილებასთან დაკავშირებით, დაზარალებულის ჩართვა აღნიშნულ პროცესებში გარკვეულწილად მას აძლევს შესაძლებლობას, რომ ზეგავლენა იქონიოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე, ხოლო თავის მხრივ პროკურორს დაზარალებულის დახმარებას უწევს აღნიშნული გარემოება მიიღოს სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება.

ზემოთხსენებული წესი მოქმედებს, პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორი დაზარალებულთან გადის კონსულტაციას და ადგენს შესაბამის ოქმს (თუმანიშვილი. 2014წ. გვ.176) დაზარალებულის ინტერესების დაცვის მიზნით. მის მიმართ ბრალდებულის მხრიდან რეპრესიებისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის პრევენციისათვის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით მას აქვს უფლება მოითხოვოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების და მსჯავრდებულის მიერ საპატიმრო დაწესებულების შესახებ ინფორმაცია, თუ ამით რა თქმა უნდა ბრალდებულს/მსჯავრდებულს რეალური საფრთხე არ ემუქრება, აღნიშნული რეგულაციით კანონმდებელი ცდილობს დაზარალებულის და ბრალდებულის/მსჯავრდებულის ერთმანეთთან შეხვედრა გამორიცხოს და პრევენცია მოახდინოს მათ შორის სამომავლო კონფრონტაციის (თუმანიშვილი. 2014წ. გვ.176).

დაზარალებულის ინფომირებულობა განსაკუთრებით საყურადღებოა იმ კუთხით, რომ მას უფლება აქვს გაეცნოს გამოძიების მიმდინარეობაზე არსებულ სისხლის სამართლის საქმის მასალებს თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ცალკეულ შემთხვევებში მნიშვნელოვანია ,,სასარგებლოა'' დაზარალებულის მიერ გამოძიების მასალების გაცნობა თვით გამოძიებისათვის, ვინაიდან დაზარალებული მასალების შესწავლის შემდეგ მოწმეთა ჩვენებებში უზუსტობების არსებობის თაობაზე აცნობებს გამომძიებელს ან პროკურორს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სრულფოფილი გამოძიების ჩატარებას საქმეზე და ჭეშმარიტების დადგენას. აგრეთვე შესაძლებელის დაზარალებულმა გამოძიებას მიუთითოს ისეთ მტკიცებულებაზე, რომელიც საქმის მასალებში არ ფიგურირებს და გამოძიებისათვის რელევანტური გარემოებების დაგენას შეუწყობს ხელს. თუმცა დაზარალებულის მიერ გამოძიების მასალების გაცნობა შეიცავს გარკვეულ რისკებს, კერძოდ შესაძლებელია დაზარალებული აღმოჩნდეს არაკეთილსინდისიერი და იგი შეეცადოს საკუთარი ჩვენების სხვა მტკიცებულებებზე მორგებას. აგრეთვე საკუთარი ჩვენების შინაარში წინააღმდეგობების აღმოფხვრა სცადოს, ხოლო რეალობა მის სასარგებლოდ ამ ფორმით დაამახინჯოს და საქმეზე სიმართლის დადგენას არსებითი ზიანი მიაყენოს (თუმანიშვილი. 2014წ. გვ 177). აგრეთვე სარისკოა, დაზარალებულისათვის საქმის მასალების სრული მოცულობით გაცნობა, ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როცა საქმის მასალებიდან ირკვევა ბრალდებულის მონაწილეობა სხვა დანაშაულში, რომელსაც ამ კონკრეტულ საქმესთან არანაირი კავშირი არ აქვს. უფრო მეტიც, შესაძლოა მასალებიდან სხვა პირების პირადი ცხოვრების შესახებ ცნობები ირკვეოდეს, რომლითაც ცალსახად ირღვევა ამ პირთა კონსტიტუციური გარანტიები. სწორედ ამიტომ, ასეთი ინფორმაციის გაცნობა დაზარალებულისათვის არაა გამართლებული.

ამდენად, აუცილებელია დაზარალებულს შეეზღუდოს ასეთ ინფომაციაზე წვდომა, მანამ სანამ ასეთი საფრთხე არსებობს, ხოლო აღნიშნული საფუძვლის აღმოფხვრისას უნდა ეცნობოს მას ამის თაობაზე და და მიეცეს საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა (თუმანიშვილი.გ 2014წ გვ. 178). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინფორმაციის გაცნობის უფლების არსებობა და მისი ჯეროვანი მიწოდება

დაზარალებულისათვის, მისი სხვა უფლებების სრული რეალიზების მიზნით ძალზედ მნიშვნელოვანია.

2.3 დაზარალებულის უფლება მოითხოვოს მისი დაცვის სპეციალურ ღონისძიებაში ჩართვა

სახელწიფო ვალდებულია იზრუნოს ადამიანის უფლებების დაცვაზე განსაკუთრებით კი იმ პირების უფლებების დაცვაზე რომლებიც სამართალწაროების პროცესში იღებს მოაწილეობას. აღიშნული საკითხის აქტუალურობა იწყება 80-იანი წლებიდან და ამჟამადაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო არაერთი რეზოლუცია, განსაკუთრებით კი **ევროპის კავშირის საბჭოს 2001 წლის 15 მარტის ჩარჩო გადაწყვეტილებაა მნიშვნელოვანი „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების შესახებ",** კერძოდ მე-8 მუხლის 1-ელ პუნქტში რეგლამენტირებულია ვალდებულება, იმ ხელიშემკვრელი მხარეების მიმართ, რომლებიც ევროკავშირის წევრებს წარმოადგენენ. აღნიშნული მათ ავალდებლებს, რომ უზრუნველყონ მათი დაცვა საჭიროების შეთხვევაში, ასევე მათი ოჯახის წევრების ან მათთან გათანაბრებული პირების, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მათ პერსონალურ უსაფრთხოებაზე, პირადი სფეროს დაცვის უზრნველოფის გათვალისწიებით, თუ არსებობს საფუძველი იმისა რომ ამ პირებზე შურისძიების მიზნით მოხდება უფლებების ხელყოფა მძიმე ფორმებში და მიზანმიმართულად (ლომსაძე. მ, სისხლის სამართლის პროცესი, გამომც.,,ბონა კაუზა", თბილისი, 2014 წ. გვ 197).

ყოველივე ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა ახალი ინსტიტუტი 2005 წლის 1 დეკემბრის კანონით (გახოკიძე, მამნიაშვილი, გაბისონია,ჯანაშია, ტალიაშვილი. 2013წ. გვ. 221). აგრეთვე ამ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ევრო-პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2012 წლის 25 ოქტობრის 2012/29/EU დირექტივა დანაშაულის მსხვეპლის უფლებების მინიმალური სტანდარტების შესახებ, სადაც

დირექტივის მე-4 თავით განსაზღვრულია დანაშაულის მსხვერპლის და მისი ოჯახის სხვა წევრების დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რითაც კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ამ საკითხის აქტუალურობას ნაციონალურ კანონმდებლობაში (იხ. ევრო-დირექტივა 2012/29/EU). საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო რომ ხშირია შემთხვევები იმისა, რომ დაზარალებულები (მოწმეები) აძლევენ ან ისეთი ჩვენების მიცემას აპირებენ სასამართლოში, რომლითაც უმსუბუქდება პასუხიმგებლობა ბრალდებულს ან სულაც ათავისუფლებდა (გახოკიძე მამნიაშვილი, გაბისონია, ჯანაშია, ტალიაშვილი, 2013წ. გვ 222). ცხადია, ამ დროს დაზარალებული იმყოფებოდა ზეწოლის ქვეშ ბრალდებულის მხრიდან ან მისი ახლო წრისგან. სწორედ საქართველოს სწრაფვა საერთაშორისო კონვენციებისკენ თუ პაქტებისკენ ინტეგრაცია, ასევე მისმა მიღებამ ევროსაბჭოში, დააჩქარა პროცესი იმისა, რომ ქართულ კანომდებლობაში გაჩენილიყო კონკრეტული თავი ,,მსხვერპლის უფლებების დაცვის კუთხით'' და შესაბამისობაში მოსულიყო საერთაშორისო აქტებთან.

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით არსებობს მათი დაცვის სპეციალური ღონისძიებები, ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როცა პროცესის მონაწილეებს ამ შემთხვევაში საუბარია ,,დაზარალებულზე'' განიცდიან ობიექტურ საფრთხეს ბარალდებულისგან ან მისი ახლო გარემოცვისგან. საფრთხე შეიძლება იყოს ჯანმრთელობის დაზიანების სიცოცხლის მოსპობის ან ქონების განადგურების. აღნიშნული საშიშროება ასევე ემუქრება იმის გამო, რომ იგი პროცესზე გამოდის, როგორც მოწმე და იძლევა ბრალდებულის მამხილებელ ჩვენებას. სწორედ ამის გამო, ბრალდებული ან მისი გარემოცვა ცდილობს ზეწოლით, მუქარით ან ამ პირის მკვლელობით ხელი შეუშალოს გამოძიებას და ობიექტური ჭეშმარიტება გააქროს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია იზუნოს იმ პირზე, ვისაც ამგვარი საფრთხე ემუქრება მის მიერ პროცესში მოაწილეობისა გამო. სახელწიფომ უნდა იზრუნოს არამარტო ამ პირებზე, არამედ მათი ოჯახის წევრებზეც.

დემოკრატიულ სახელწიფოში დაუშვებელია სიმართლის დადგენა ხდებოდეს ყველაფრის ფასად. აქედან გამომდინარე ქართველმა კანონმდებელმა სისხლის სამართლის საპროცესო კანოდებლობაში, კერძოდ მე-9 თავში მოახდინა პროცესის

მონაწილეების დაცვის სპეციალური ღონისძიებების რეგლამენტირება. დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროცესის ნებისმიერი მონაწილის მიმართ (მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, ბრალდებულის, ადვოკატის, მოწმის, დაზარალებულის ექსპერტის, თარჯიმნის - სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებისა და ასევე პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით (ფაფიაშვილი. 2015 წ. გვ. 240).

აღნიშნულ ღონისძიებებში პირის ჩართვა ხდება დასაცავი პირის თანხმობით, რათა პროკურორმა მიმართოს მთავარ პროკურორს ან მის მოადგილეს ამ პირის დაცვის სპეციალურ ღონისძიებებში ჩართვის მიზნით, ხოლო ამ ღონისძიებებს აღასრულებს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ღონისძიებათა შესახებ მიღებული გადაწვეტილება არ არის საჯარო და ეს ეცნობება მხოლოდ დასაცავ პირს (დაზარალებულს). ღონისძიება შეიძლება იყოს კონკრეტული ვადით ან უვადოდ, რაც შეეხება ღოისძიებებს იგი შეიძლება გამოიხატოს : მიკვლევის საწინაღმდეგო ღონისძიებების გატარებაში, საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ჩანაწერში სახელის გვარის და სხვა მაიდეტიფიცირებელი ინფორმაციის შეცვლაში ან მასზე ახალი დოკუმენტის გაცემაში, გარეგობის შეცვლაში, პირადი დაცვა განგაშზე გამოძახებაში, რელოკაციაში - სახელმწიფოდან გაყვანაში, საცხოვრებლის დროებით ან სამუდამოდ შეცვლაში და სხვ. დაცვის კოკნკრეტული სახის გამოყენების გახორციელების პროცედურებს ერთობლივად განსაზღვრავენ საქართველოს იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრები (სსსსკ-ის 68-ე მუხლი, მე-4 ნაწილი).

აღნიშნული ღონისძიებების გამოეყნებას აქვს თავის კონკრეტული საფუძვლები ,,დაზარალებლის მიმართ'' : ა) ისეთი საქმის განხილვა საჯაროდ სადაც მოხდება პროცესის მონაწილის პირადი ცხოვრების ხელყოფა; ბ) მისი ვინაობის გამხელით მოხდება დაემუქრება ან მის ახლო ნათესავს ობიექტრი საფრთხე, ქონებას და ჯანმრთელობას აგრეთვე თუ დაზარალებული დამოკიდებულია ბრალდებულზე (თუმანიშვილი. 2014წ. გვ.199). ამ შეთხვევების არსებობისას აუცილებელია დაზარალებული იქნას დაცვის სპეციალურ ღონისძიებებში ჩართული და მისი უფლებების სრული დაცვა ამ ფორმით მოხდეს სახელწიფოს მხრიდან. ხოლო თუ

დასახელებული ვადა არ იქნა საკმარისი პროკურორი იღებს გადაწვეტილებას ამ ვადის გაგარძელების თაობაზე. ხოლო საფრთხის არარსებობის შეთხვევაში, პროკურორი აუქმებს მას და დაუყონებლივ აცნობებს დასაცავ პირს ამ გარემოების შესახებ (ფაფიაშვილი. 2015 წ. გვ. 241). აქედან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფომ დაიცვას ნებისმიერი ადამიანის უსაფრთხოება, განსაკუთრებით კი საგულისხმოა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე სუბიექტთა უსაფრთხოება, რათა არ მოხდეს ამ პირთა უფლებების ხელყოფა და პროცესისათვის უკანონო ხელის შეშლა.

2.4 დაზარალებულის უფლება ისარგებლოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინაციის სამსახურის მომსახურებით

დაზარალებულს აქვს უფლება მისი ინფორმირებულობის მიზნების უზრუნველსაყოფად ითანამშრომლოს საქართველოს მთავარ პროკურატურაში არსებულ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინაციის სამსახურთან. აღნიშნული სამსახური საქართველოს მთავარი პროკურატურის სისტემაში ფუნქციონირებს 2011 წლის აგვისტოს თვიდან ქვეყნის დიდ ქალაქებში. ამ სამსახურის მიზანია ხელი შეუწყოს მოწმისა და დაზარალებულის მჭიდრო თანამშრომლობას პროკურატურის წარმომადგენლებთან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ასევე მათ ინფორმირებულობას კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში (www.pog.gov.ge).

აღნიშნული სამსახურის ფუნქციონირება ჩვენს თემასთან მიმართებით უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან დაზარალებული მისი სტატუსიდან გამომდინარე წარმოადგენს ასევე პროცესის დამოუკიდებელ მონაწილეს, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ანიჭებს მოწმის სტატუსსაც თავის საქმეში, სადაც იგი დაზარალებულადაა მიჩნეული (სისხლის სამართლი საპროცესო კოდექსი, გამომც.მერიდიანი, ქ.თბილისი, 2018 წლის ივნისის მდგომარეობით, 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). სწორედ, ამ სამსახურის მიზანია დაზარალებულისა (მოწმის) და პროკურორთან, სასამართლოსთან და სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში ხელის შეწყობა. სამსახური ვალდებულია ჯეროვნად

მოახდინოს ინფორმაციის მიწოდება ამ პირებთან, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან დაკავშირებით (www.pog.gov.ge).

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია 2012/29/EU დირექტივა და მისი მე-4 მუხლი, რომელიც ცალსახად მიუთითებს წევრ სახელმწიფოებს იმისკენ, რომ მათ შექმნან ისეთი კომპეტენტური დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაზარალებულ პირთა ინფორმირებას საქმის მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში. მართალია, ევრო დირექტივა 2012 წელსაა მიღებული და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ აღნიშნული საკითხი მოაწესრიგა უფრო, ვიდრე დირექტივას მიიღებდნენ და ამით ხელი შეუწყო ნაციონალური კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროდირექტივასთან (იხ. ევროდირექტივა 2012/29/EU 4 - ე მუხლი).

რაც შეეხება, კოორდინაციის სამსახურის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას. უპირველესად, უმთავრესია აღნიშნული სამსახურის წარმომადგენლებმა დაზარალებულთან (მოწმესთან) კომუნიკაცია დაამყარონ მაქსიმალურად გამარტივებული ფორმით, ისე რომ მათთან ურთიერთობისას კონკრეტული საკითხების მოყოლისაგან დაზარალებულმა (მოწმემ) თავი არ შეიკავოს, ვინაიდან პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები როცა შიშის გამო დაზარალებული (მოწმე) უარს აცხადებს სამართალდამცავებთან კომუნიკაციაზე, სწორედ რომ მოხდეს ასეთი ფაქტების პრევენცია აუცილებელია კოორდინაცის სამსახურის წარმოამდგენლებმა იქონიონ მჭიდრო ურთიორთობა ამ პირებთან და გაიგონ მათგან ხომ არ ემუქრებათ მათ ან მათ ახლო ნათესავს რაიმე სახის საფრთხე, ხომ არ არიან შანტაჟის მსხვერპლნი (კავთუაშვილი. ე, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის როლი დანაშაულის მსხვერპლთან ურთიერთობაში, მართლმსაჯულება და კანონი N2, თბილისი, 2012 წ .გვ 1-2).

სწორედ გამოკითხვა მიზნად ისახავს კოორდინატორის მიერ რისკების განსაზღვრას მოძალადის მხრიდან დაზარალებულის (მოწმის) მიმართ, ხოლო საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხევაში სამსახური უზრუნველყოფს საფრთხის პრევენციას, (www.pog.gov.ge), ხოლო მეორეს მხრივ კოორდინატორი ვალდებულია დაზარალებულს (მოწმეს) შეუქმნას განცდა სამართლებრივი ნდობის, რომ მისი სიმშვიდის გარანტია

საქართველოს მთავარი პროკურატურა და ქვეყანაში არსებული კანონები (კავთუაშვილი. 2012წ გვ. 2).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2018 წლის 4 მაისს შეტანილი ცვლილებით 58[1]-ე და 58[2]-ე მუხლებით განისაზღვრა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი იურიდიული რეგულაცია, აგრეთვე მისი უფლება-მოვალეობები. აღნიშნული მისასალმებელია, რამდენადაც საკანონმდებლო დონეზე ინსტიტუციური რეგლამენტირება უზრუნველყოფს სანდოობასა და ეფექტურობას.

საგულისხმოა, რომ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი სისხლის სამართლის საქმეში შესაძლებელია ჩაებას მხოლოდ პროკურორის გადაწყვეტილებით, რომელიც ითვალისწინებს ზემოხსენებული პირების ინტერესებს (სსსსკ-ის 58[1]-ე მუხლი, 1-ლი და მე-3 პუნქტი). აგრეთვე იგი აწვდის ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მოწმის/დაზარალებულის საკონტაქტო მონაცემების შესახებ. უმნიშვნელოვანეს ჩანაწერს წარმოადგენს დებულება, რომ დაზარალებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს კოორდინატორთან თანამშრომლობაზე (სსსსკ-ის 58[1]-ე მუხლი, მე-6 ნაწილი). რაც შეეხება კოორდინატორის უფლება-მოვალეობებს, აღნიშნული რეგლამენტირებულია სსსსკ-ის 58[2]-ე მუხლით. საყურადღებოა, რომ მას უფლება არ აქვს, საგამოძიებო მოქმედებისა და საპროცესო მოქმედების მიმდინარეობისას მოწმესა და დაზარალებულს დაუსვას კითხვები ან სხვაგვარად ჩაერიოს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში. ამასთან, იგი ვალდებულია არ გაახმაუროს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინაციის სამსახური კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით სხვადასხვა ხერხებით ცდილობს დაზარალებულს მიაწოდოს ინფორმაცია თუ რა ეტაპზეა სისხლის სამართლის საქმე, ამ მიზნით იგი აქტიურად თანამშრომლობს გამოძიებასთან და მათგან ღებულობს საქმეზე ინფორმაციებს. მაგალითისათვის, ისეთ საქმეებზე სადაც პირის ქონებაა ჩამორთმეული ან დანაშაულის შედეგად პირის ქონება მისი ნების გარეშეა მისგან გასული მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით (კავთუაშვილი. ე, მოწმისა და დაზარალებულის

კოორდინატორის როლი დანაშაულის მსხვერპლთან ურთიერთობაში, მართლმსაჯულება და კანონი N2, თბილისი, 2012წ, გვ.3), ასეთი ტიპის საქმეებზე კოორდინატორი მუდმივად უნდა ფლობდეს ინფორმაციას თუ რატომ ყოვნდება ქონების დაბრუნება, განხორციელდა თუ არა ქონების მოძიებისათვის აუცილებელი ღონისძიებები და თუ უკვე მოძიებულია როდის იქნება მისი დაბრუნება შესაძლებელი კანონიერი მესაკუთრისათვის, ვინაიდან დაზარალებლის ინტერესია, რაც შეიძლება სწრაფად დაიბრუნოს კუთვნილი ქონება.

დაზარალებულის ინტერესების უზრუნველოფის მიზნით კოორდინატორს უნდა გააჩნდეს ინფორმაცია დაზარალებულისათვის განმარტების მისაცემად თუ რატომ ყოვნდება ქონების დაბრუნება. ასევე აუცილებელია მან განმარტება გააკეთოს იმის შესახებ, რომ თუ განადგურდება ან დაზიანდება ქონება მას მერე, რაც იგი სამართალდამცავთა მფლობელობაში გადავა დაზარალებული უფლებამოსილია მიიღოს სახელმწიფოსგან სამართლიანი კომპენსაცია მიყენებული ზიანის სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (ფაფიაშვილი, 2015წ. გვ. 314-315).

პრაქტიკამ აჩვენა, რომ დაზარალებულები ხშირად თავს იკავებენ თანამშრომლობისაგან აღნიშნულ სამსახურთან და იმიზეზებენ სამსახურეობრივ მოუცლელეობას ან არ სურთ მათი მსხვერპლად გახდომის შესახებ სამსახურში გაიგონ, ამ მიზნით კოორდინატორი ცდილობს გაარკვიოს მიზანშეწონილება საკითხისა თუ რამდენადაა შესაძლებელი დაზარალებულის სამსახურში ქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ რომ მათი თანამშრომელი, რაღაც ფორმით შემხებლობაშია დანაშაულთან, ამ მიზნით კოორდინატორი დაზარალებულთან გადის კონსულტაციას იმის შესახებ რომ არსებობს თუ არა ისეთი პირი სამსახურში, რომელთანაც

შესაძლებელია ამ საკითხზე საუბრის წარმოება თუ ამის საჭიროება რა თქმა უნდა წარმოიშობა (www.pog.gov.ge) კონსულტაციის მიზანია ეფექტური კომუნიკაციის შენარჩუნება დაზარალებულსა და სამართალდამცავთა შორის, აგრეთვე კოორდინატორი განსაზღვრავს მომავალში დაზარალებულის სამსახურეობრივი სამუშაო საათების დამთხვევის შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედებას ან სასამართლო სხდომას, სადაც იგი

უნდა ესწრებოდეს, სამსახურის ხელმძღვანელ პირს ან სხვა კომპეტენტურ თანამშრომელს რომელსაც იგი დაუკავშირდება და განუმართავს დაზარალებულის (თანამშრომლის) სავალდებულო დასწრების საკითხს (კავთუაშვილი. 2012 გვ. 3–4). კოორდინატორი სისტემურად უნდა თანამშრომლობდეს საქმის პროკურორთან და ასევე პარარერულად დაზარალებულთან, პროკურორისგან უნდა იღებდეს საქმეზე არსებულ უახლეს ინფორმაციებს და დაუყონებლივ აწვდიდეს დაზარალებულს, აცნობდეს სასამართლო სხდომებს და მათ თარიღებს. ასევე განმარტებას უნდა აკეთებდეს დაზარალებულთან თუ რა შედეგი შეიძლება მოყვეს სასამართლო განხილვას/ გამოძიებას და რა როლი აკისრია მას საქმის მსვლელობასთან მიმართებით (www.pog.gov.ge).

კოორდინატორმა აღნიშნული ინფორმაცია პირადად უნდა გააცნოს დაზარალებულს ან სხვა ეფექტური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით, კოორდინატორი ყოველთვის უნდა ცდილობდეს ეფექტურად წარმართოს კომუნიკაცია დაზარალებულთან და არ დაძაბოს ურთიერთობა მასთან, არამედ კოორდინატორმა ნდობა და პატივისცემის გრძნობა უნდა ჩამოუყალიბოს სამართალდამცავთა მიმართ, ამისათვის მუდმივად უნდა გააკეთოს განმარტება იმის შესახებ რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა მას გვერდში უდგას და დაინტერესებულია მისი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაყმაყოფილებით, რომ პროკურორის გადაწყვეტილებები იქნება დაზარალებულის კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე მიღებული (კავთუაშვილი. 2012 გვ. 4). დაზარალებულს კოორდინატორმა უნდა განმარტოს იმ უფლებათა ჩამონათვალი რაც მას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად გააჩნია. ამ შემთხვევაშია საუბარია იმ უფლებებზე, რომელიც მას გააჩნია გამოძიების ეტაპზე და არ არის სავალდებულო იმ სავალდებულო უფლებათა ჩამონათვალის გაკეთება რაც პროცესით დაზარალებულს გააჩნია.

უფლებათა განმარტება დაზარალებულში გამოწვევს განცდას, რომ გამოძიება სრული მოცულობით ჩატარდება და მოხდება მისი უფლებების სრული რეალიზება, აღნიშნული გარემოება იწვევს დაზარალებულში ნდობის ხარისხის ამაღლებას

სამართალდამცავთა მიმართ და საქმის პროკურორთან, გამომძიებელთან ეცდება იქონიოს ეფექტური კომუნიკაცია, ხოლო თავის მხრივ აღნიშნული გარემოება საწინდარია საქმის შედეგიანი დასრულების (კავთუაშვილი. 2012წ. გვ. 5). დაზარალებულს აქვს უფლება კოორდინატორისგან მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტისას რა საფუძვლებით იხელმძღვანელა პროკურატურამ, ხოლო თავის მხრივ კოორდინატორი ვალდებულია დეტალური განმარტება გააკეთოს იმ გადაწყვეტილებათა მიმართ, რაც პროკურატურის მიერ იქნა მიღებული (კავთუაშვილი. 2012წ. გვ. 6). აგრეთვე ვალდებულია დაზარალებულ განუმარტოს გასაჩივრების შესაძლებლობა სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწ-არმოების წესით, სსსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად.

კოორდინატორი დაზარალებულს ამზადებს სასამართლო სხდომისათვის, რაც გულისხმობს ამომწურავად ინფორმაციის მიწოდებას საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით ასევე იმ უფლება-მოვალეობების განმარტებას, რაც დაზარალებულს პროცესზე გააჩნია ასევე აუცილებელია დაზარალებულის ფსიქოლოგიური მომზადება პროცესზე გასვლის წინ რომ იგი თავდაჯერებული წარსდგეს სასამართლოს წინაშე, კოორდინატორი ვალდებულია თითოეულ იმ საჭიროებებზე რეაგირება მოახდინოს დაზარალებულის უფლებათა რეალიზების მიზნით, რაც აუცილებელია მთლიანი პროცესის ფარგლებში. ხშირია შემთხვევები, როცა აუცილებელ საჭიროებებზე საუბრისას დაზარალებული თავს იკავებს კოორდინატორთან და ცდილობს უფრო სანდო ფიგურასთან პროკურორთან დაამყაროს კავშირი, ვინაიდან იგი ფიქრობს რომ მისი პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა ამ ფორმით უფრო დაცულია, ვინაიდან მისი დაცვისათვის საჭირო ყველა სამართლებრივი ბერკეტი პროკურორის ხელშია (კავთუაშვილი. 2012 წ გვ. 8).

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინაციის სამსახურის არსებობა უმნიშვნელოვანესია ინსტიტუტია დაზარალებულის (მოწმის) უფლებების დაცვის კუთხით. მის ფუნქციებში შედის უპირველესად დაზარალებულის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და სამართლებრივი კუთხით, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება პროკურატურასთან ერთად, რაც დაზარალებულს (მოწმეს) პროცესის ფარგლებში

ექმნება, აღნიშნული სამსახურის საჭიროების და ეფექტურობის დამადასტურებული დოკუმენტია ოფიციალური სტატისტიკა საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული, რომლის თანახმადაც შექმნიდან ერთი წლის განმავლობაში. 2012 წელს 18000-მდე მოქალაქემ ისარგებლა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მომსახურებით. აქედან, 58% შემთხვევაში თავად სამსახურის კოორდინატორები იყვნენ ურთიერთობების ინიციატორი, ხოლო 42% შემთხვევაში კი მოქალაქეები თავიანთი ინიციატივით აქტიურობდნენ (www.pog.gov.ge). ფაქტია, რომ დაზარალებულის ჩართულობა ბრალდების მხარის გადაწყვეტილებებში და ბრალდებასთან ჯეროვანი კომუნიკაცია, ცალსახად ზრდის საზოგადოებაში ნდობას სამართალდამცავთა მიმართ და კანონის პატივისცემას.

2.5 დაზარალებული, როგორც მოწმე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, განსაზღვრულია მოწმის ცნება რომლის თანახმადაც მოწმე შეიძლება იყოს ფიზიკური პირი რომელსაც შეიძლება ქონდეს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე გარემოებათა დასადგენად, აღნიშნული ინფორმაცია მოწმეს საკუთარი აღქმის საფუძველზე უნდა გააჩნდეს და უნდა ქონდეს უნარი მისი შესაბამისად გადმოცემის (ლალიაშვილი. 2015 წ გვ. 293). სისხლის სამართლის საქმეზე მნიშვნელოვანია, ინფორმაციის მიღება ,,პირველადი წყაროსგან''. ვინაიდან, სწორედ ასეთი პირის მიერ გადმოცემული ცნობები ასახავს რეალობას მაქსიმალური სიზუსტით, ამიტომაცაა საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება ,,დაზარალებული,, - მოწმისგან, რომლის უშუალო შემსწრეა დანაშაულის (გახოკიძე, მამნიაშვილი, გაბისონია, ჯანაშია, ტალიაშვილი. 2013წ გვ.178).

სისხლის სამართლის პროცესში პირის მოწმედ აღიარებისათვის აუცილებელია ორი დამოუკიდებელი პიროების არსებობა ა) შინაარსობრივი და ბ) ფორმალური, შინაარსობრივი მხარე გულისხმობს, იმას რომ მოწმე არის პირი, რომელმაც უშუალოდ დაინახა, მოისმინა, შეესწრო, ან სხვაგვარი ფორმით გახდა შემსწრე ისეთი ქმედებისა,

რომელიც წარმოადგენს დანაშაულს და მის მიერ მიცემული ჩვენება ხელს შეუწყობს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. ხოლო რაც შეეხება ფორმალურ პირობას მასში იგულისხმევა პირის მიერ მოწმის სტატუსის მიღება მას შემდეგ რაც მას გააფრთხილებენ სისხლის სამართლებრივი პასხისმგებლობის თაობაზე მას მერე თუ იგი განზრახ ცრუ ჩვენებას მიაწვდის სამართალდამცავ ორგანოებს (გახოკიძე, მამნიაშვილი, გაბისონია, ჯანაშია, ტალიაშვილი. 2013 გვ.179). ვინაიდან დაზარალებულს აქვს უფლება იმისა რომ პროცესში ერთდრულად მონაწილეობდეს როგორც დაზარალებულის ასევე მოწმის სტატუსითაც (ლალიაშვილი. თ, სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი, ,,იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015წ. გვ. 307) არ გამოირიცხება მისი იძულებით მიყვანა სასამართლო სხდომაზე და იმ ვალდებულების დაკისრება, რასაც კანონმდებელი ჩვეულებრივ მოწმეს განუსაზღვრავს (გახოკიძე, მამნიაშვილი, გაბისონია, ჯანაშია, ტალიაშვილი. 2013წ გვ. 183).

დანაშაულის მსხვერპლს აქვს მუდმივი შიში დამნაშავის და მასთან შეხვედრის, მისი სურვილია არასოდეს შეხვდეს მას. ამიტომაც დაზარალებულის დაკითხვისას აუცილებელია პროცესზე არ იმყოფებოდეს დამნაშავე, ვინაიდან არ მოხდეს დაზარალებულის მასთან დაპირისპირება. აუცილებელია პროცესის ნებისმიერ ეტაპზე დაზარალებულის ინტერესების დაცვა, რადგან მან ყოველგვარი სტრესის გარეშე და ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან თავის არიდებით შეძლოს სასამართლოში კითხვებზე პასუხების გაცემა (შალიკაშვილი. 2011წ გვ. 130). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ყველა პირს საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მყოფ უცხოელს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა გააჩნიათ ვალდებულება კანონით დადგენილი წესით გამოცხადნენ სასამართლოში (მაგისტრატ მოსამართლესთან) საქმის განმხილველ სასამართლოში (ლალიაშვილი. 2015წ გვ. 313).

ამდენად, დაზარალებულის დავალდებულება საქმეზე გამოვიდეს როგორც მოწმე სახეზეა, თუმცა სისხლის სამართლის კანონმდებლობით განასხვავებენ მოწმის ორი სახის ვალდებულებას ა) ჩვენება მისცეს წინაწარი გამოძიების ეტაპზე და ბ) ჩვენება მისცეს სასამართლოში (გახოკიძე მამნიაშვილი, გაბისონია,ჯანაშია, ტალიაშვილი, 2013წ

გვ.181). რაც შეეხება გამოძიების ეტაპზე ჩვენების მიცემას, ამ შემთხვევაში ,,დაზარალებული'' მოწმის მიმართ მოქმედებს 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსით დადგენილი წესი იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი სახის დანაშაულთა საქმეებზე დაზარალებულ მოწმეს აკისრია ვალდებულება პროკურორს, გამომძიებელს საგამოძიებო ორგანოში მისცეს ჩვენება, როგორც მოწმემ (სსსკ - ის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილი). რაც შეეხება მეორე სახის დაკითხვის წესს, მოწმე ვალდებულია ნებისმიერ შემთხვევაში (გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა) წარსდგეს სასამართლოს წინაშე და დაიკითხოს როგორც მოწმე იმ საქმეში, სადაც იგი დაზარალებულია (გახოკიძე, მამნიაშვილი, გაბისონია, ჯანაშია, ტალიაშვილი. 2013წ გვ.181). საქმის არსებითი განხილვის დროს არ დაიკითხება ის დაზარალებული მოწმე, რომელიც წარსდგა სასამართლოს წინაშე სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა'' და ,,დ'' ქვეპუნქტებით არსებული გარემოებებისა გამო. ასეთ შემთხვევაში, გამოქვეყნდება ამ პირის დეპონირებული ჩვენება მისი დასწრების გარეშე, თუმცაღა ამ დროს აუცილებელია დაზარალებული (მოწმის) თანხმობა გამოქვეყნებულ იქნეს მის მიერ მაგისტრატ მოსამართლესთან მიცემული ჩვენება, დაუშვებელია მხოლოდ აღნიშნული ჩვენებით გამოტანილ იქნას გამოტანილ განაჩენი, თუ არ დასტურდება დამნაშავის ბრალეულობის დამადასტრებელი მტკიცებულებით (თუმანიშვილი. 2014წ გვ. 181).

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს დაზარალებულის როგორც მოწმის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სისხლის სამართლის პროცესში არსებული შესაძლებლობები, კერძოდ საუბარია მოწმის დაკითხვის შესაძლებლობაზე იმავე სასამართლოდან ან სხვა სასამართლოდან (სსსსკ-ის 243- მუხლის 3-ე ნაწილი) ასევე ,,დაზარალებული'' მოწმის ინტერესების დაცვას ემსახურება სსსსკ-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,დ'' ქვეპუნქტი, რომლის თანახმად დაზარალებულს აქვს უფლება ბრალდების მხარეს მიმართოს, იმის შესახებ რომ მათ იშუამდგომლონ სასამართლოში სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე , თუ საქმის საჯაროდ განხილვა ხელყოფს დაზარალებულის პირად უფლებებს , ხოლო თუ საქმე ეხება სქესობრივ დანაშაულს ან ადამიანით ვაჭრობის საქმის განხილვას სასამართლოს აქვს უფლება საკუთარი ინიციატივით დახუროს სასამართლო სხდომა ნაწილობრივ ან სრულად. აგრეთვე კანონმდებელი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლს ანიჭებს პრივილეგიას მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში მისი

სურვილისამებრ სასამართლოს მისცეს ჩვენება ან თავი შეიკავოს (თუმანიშვილი. 2014წ გვ. 182). ხოლო ნებისმიერ სხვა შემთხვევაში დაზარალებული მოწმე ვალდებლია გამოცხადდეს სასამართლოში, რომელსაც სასამართლო უწყებით ატყობინებენ მას, სადაც მითითებულია გამოცხადების ზუსტი დრო, ადგილი, ასევე იმ პასუხისმგებლობის თაობაზე განმარტება მის გამოუცხადებლობას შეიძლება მოყვეს (გახოკიძე, მამნიაშვილი, გაბისონია, ჯანაშია, ტალიაშვილი, 2013წ. გვ.188).

ზემოხსენებული ცნობის მიღება, რომლითაც დაზარალებული დავალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში, როგორც მოწმე განაპირობებს მის ფსიქოლოგიურ პრობლემებში ხელახლა ჩაყენებას, აღნიშნულის ნათელი მაგალითია პირის პოსტტრამვული პრობლემები, რომლის თანახმადაც პირის პოსტრამვული პრობლემები დანაშაულის შედეგად ან უბედური შემთხვევის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ (schneider.H,J,1999./შნეიდერ გვ. 127). დაზარალებული ,,მოწმის'' დაკითხვა მრავალჯერ განსაკურებით სექსუალური და ძალადობრივ დანაშაულების საქმეებზე იწვევს მასში ფსიქოლოგიურ პრობლემებს, სწორედ ამ პრობლემების პრევენციის მიზნით აუცილებელია მისი დაკითხვა მოხდეს მაქსიმალურად მოკლე ინტენსივობით და მინიმალური ოდენობით (შალიკაშვილი. 2011წ გვ.127).

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელია პრაქტიკაში მოსამართლეებმა, პროკურორებმა, გამომძიებლებმა, ადვოკატებმა შეიმუშავონ ერთიანი სტანდარტი რომ დაზარალებულად მყოფ პირს არ განუახლონ მიყენებული ტკივილი და არ განუახლონ მიყენებული ტკივილი არ მიაყენონ ხელახალი ფსიქიკური ზიანი. დაზარალებული მოწმის განსაზღვრებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ,,(ხ.შუბითიძე. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2016წ 10.30 #1/8/594), სადაც სასამართლომ იხელმძღვანელა ევროპის კავშირის 2012/29/EU დირექტივით „დაზარალებულთა უფლებების მინიმალური სტანდარტებით ასევე ევროსაბჭოს რეკომენდაციებით სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და დაადგინა რომ დაზარალებული ე.წ ,,უბრალო'' მოწმე არ არის საქმეში არამედ მას აქვს მოწმისგან განსხვავებით მთელი რიგი საპროცესო

უფლებები როგორებიცაა: ინფორმაციის მიღების, პირადი ცხოვრების და უსაფრთხოების დაცვის. უფლება, წარადგინოს მოსაზრებები სასამართლოში და, ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში, დაზარალებულის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. რაშიც არ შედის განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გადაწყვეტილებების გასაჩივრება.

„დაზარალებული" მოწმის ვალდებულება თქვას მხოლოდ სიმართლე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის I-ნაწილის დაზარალებულს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა ვალდებულება. აღნისნულიდან გამომიდინარე დაზარალებულს მოწმის მსგავსად ჩვენების მიცემისას მოეთხოვება სიმართლის თხრობა სასამართლოს წინაშე (ჯორბენაძე. 2015. გვ. 9) წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხიმგებლობა დაეკისრება სისხლის სამართლის წესით. ცრუ ჩვენების მიცემისათვის დაზარალებულის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა შიეძლება დაიწყოს მხოლოდ განაჩენის ან სხვა სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (ლომსაძე. 2016. გვ.70). პრაქტიკაში არსებულმა არაერთმა შემთხვევამ ცხადყო რომ აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი ხარვეზს შეიცავს და მის არსებობას კანონმდებლობაში აზრი არ აქვს, კერძოდ ისეთ საქმეებზე სადაც პირდაპირი მტკიცებულება არ მოიპოვება და მხოლოდ დაზარალებულია ერთადერთი პირდაპირი მოწმეა საქმის გარემოებების იგი ხშირად იძლევა ცრუ ჩვენებას ან ამოცნობის დროს ასახელებს ისეთ პირს რომელსაც შესაძლოა დანაშაულში არანაირი შემხებლობა არ ჰქონდეს, ხოლო მოგვიანებით შესაძლოა დაზარალებულმა მოწმემ სასამართლოს განუცხადოს რომ იგი არაა დარწმუნებული რომ ეგ პირი რომელსაც მან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ხელი დაადო ნამდვილად ის პირია ვინც მის მიმართ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. კანონმდებლობის ხარვეზი სწორედ მდგომარეობს იმაში რომ დაზარალებული მოწმის რომელი ჩვენაბაა სინამდვილე ვერ ადგენს და იძულებულია გამოიყენოს (**In Dubioi Pro Reo**) ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყვეტს. ასეთ საქმეებზე ხშირია პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ან წინასწარ პატიმრობაში მისი დატოვება, რაც გულისხმობს

პიროვნების უფლებებში დაუსაბუთებელ და უკანონო ჩარევას. ხოლო თავის მხრივ დაზარალებული მოწმის მიმართ არანაირ პასუხიმგებლობის დაკისრებას სისხლისამართლებივ ან სამოქალაქო სამართალწარმოების წესის გამოყენებით (ჯორბენაძე. 2015წ, გვ. 9).

,,დაზარალებული" მოწმის პირადი სფეროს დაცვა პროცესის ფარგლებში

დაზარალებული მოწმის სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე დიდია ალბათობა იმისა რომ მისი უფლებების ხელყოფა მოხდეს, რაშიც იგულისხმება ღირსების ხელშეუვალი უფლების დარღვევა, კერძოდ დარღვევა შესაძლოა მოხდეს უშუალოდ პროცესზე, ვინაიდან დაზარალებული იძულებულია უპასუხოს განსასჯელის ან მისი დამცველის შეკითხვებს თავისი ინტიმური ცხოვრების დეტალებზე, აქედან გამომდინარე შესაძლებელია დაზარალებულმა როგორც მოწმემ ჩადენილი დანაშაულის ან საკუთარ ინტუმურ ცხოვრები დეტალებზე საუბრისას ხელმეორედ განიცადოს ფსიქიკური ტრამვა ან მიადგეს სხვა სახის ზიანი, სისხლის სამართლის პროცესი მიმართული უნდა იყოს დაზარალებულის, როგორც ,,მოწმის'', მდგომარეობა კიდევ უფრო არ გააუარესოს (თუმანიშვილი. 2009წ. გვ. 66).

ამ საკითხთან მიმართებით საქართველოს კონსტიტუცია განმარტავს რომ ადამიანის ,,ღირსება'' წარმოადგენს აბსულუტურ უფლებას და მისი რაიმე ფორმით დარღვევა დაუშვებელია (ბურდული. 2013წ, გვ. 113). ადამიანის ღირსების ფუნდამენტური საფუძველი იმაში გამოიხატება , რომ სწორედ ღირსების საფძველზე ყოველი ადამიანი აღიარებულია საკუთარი პასუხისმგებლობის მქონე დამოუკიდებელ და თავისუფალ პიროვნებად. ადამიანის ღირსების დარღვევა მაშინაა სახეზე როცა ადამიანს დევნიან , ამცირებენ და უფლებების აყრის გზით მოეპყრობიან , ადამიანის ღირსება არ არის ხელშესახები და შესაბაისად არც არავის შეუძლია იგი პირს მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოართვას (იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა, 2005წ. გვ 84). ადამიანის ღირსება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საქმეზე ,,მოქალაქეები **ტ. გვეტაძე დ. ჯიმშელეიშვილი და ნ. დალალაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ**", კერძოდ ადამიანის ღირსება და მისი თავისუფლება

ძირითად ფუნდამენტურ უფლებებში გამოიხატება იმით, რომ უფლებები სხვა დანარჩენი უფლებებისგან იმით გასხვავდება, რომ ის წარმოადგენს ადამიანის თანდაყოლილ უფლებას და არა ნაწარმოებ უფლებას. აღნიშნულ უფლებას ადამიანი იძენს დაბადებისთანავე, რის საფძველზეც სახელმწიფო ვალდებული ხდება ადეკვატურად უზრუნველყოს მისი დაცვა და ყველა ადამიანს მისცეს შესაძლებლობა მოახდინონ პიროვნული თავისუფლების თვითრეალიზაცია (იხ. საქმე. #1/2 (384).

აგრეთვე უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება საქმეზე **„მოქალაქე მ. ნათაძე და სხვ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,** განმარტა - ღირსება არ შეიძლება განიმარტოს როგორც, ერთ-ერთი სუბიექტის კონსტიტუციური უფლება, ღირსება არის საყოველთაო უფლება და ამავე დროს (ფუნდამენტური) კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც უკავშირდება და ეყრდნობა ადამიანის ძირითადი უფლებები. ადამიანის სამართლებრივი სტატუსის საფუძველში დევს ღირსების იდეა, ღირსების ხელყოფა, ფაქტიურად უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დაღვევას (იხ, საქმეზე # 2/2 -389, მე- 2 . პარ. 31). ადამიანის ღირსებას საფრთხე არ ემუქრება, როცა ხდება მასში სახელწიფოს ჩარევა შემდეგი ფორმებით : 1) ნაკლები ინტენსივობით 2) დროებითი ხასიათი 3) არ წარმოადგენს ადაიანი შიშველ ობიექტს 4) მიზნად არ ისახავს ადამიანის დამცირებას, არამედ მიმართლია მძიმე დანაშაულის გახსნისკენ (იზორია,იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა, 2005წ. გვ 91).

ადამიანი აღიარებულია, როგორც თავისუფალი პიროვნება და დამოკიდებელი ინდივიდი როელსაც აქვს საკუთარი ღირსება, ღირებულებები რომლის გამოც დაუშვებელია იგი იქცეს რაიმე სახის ობიექტად , ამრიგად ადამიანის გამოყენება რაიმე სახის ობიექტად დაუშვებელია, მისი გამოყენება მიზნის მისაღწევად არამედ იგი თვითონ მიზანი უნდა იყოს (იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა, 2005წ. გვ 84). სწორედ სახელწიფომ ამ მიზნით უნდა უზრუნველყოს ადამიანის ღირსების უფლების დაცვა რამდენიმე ძირითადი მიმართლებით ესენია : ა) ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიმშვიდის დაცვა. ბ) ადამიანთა თანასწორობის უფლების დაცვის უზრუნველყოფა. გ) ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა. დ)

სამართლიანობის დაცვა ე) პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა ვ) ადამიანის ბიოლოგიური იდენტრობის და თვითმყოფადობის დაცვა (ბურდული. 2013წ. გვ.111–112).

ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ნებისმიერი ადამიანის უფლებების დაცვა, განსაკუთრებით დაზარალებული ,,მოწმის'', რომელიც პროცესის მსვლელობისას განიცდის არასასიამოვნო ზეწოლას. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მართმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეული შეზღუდვები შეიძლება განიცადოს დაზარალებულის პიროვნულმა უფლებებმა, კერძოდ მოგეხსენებათ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დაზარალებულმა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისა და მართლსაჯულების ეფექტურად განხორციელების ინტერესიდან გამომდინარე სწორედ ამ მიზნით დაზარალებული ვალდებულია აიტანოს მოწმის ფუნქციასთან დაკავშირებული უსიამონობები, ადრე როგორც უკვე აღვნიშნე ნებისმიერ შემთხვევაში მკაცრად დაცულ უნდა იქნეს დაზარალებულის პირად სფეროში ჩარევა ეს ეხება საპროცესო სამართლებრივ ჩარევის შემთხვევებს, ასეთ შემთხვევებში მკაცრად უნდა იქნეს დაცული ზომიერებისა და ადამიანის ღირსების დაცვის მოთხოვნები.

სწორედ ამიტომაც, დაზარალებული მოწმის დაკითხვისას პროცესზე, რომელსაც ესწრება ბრალდებული, მართმლსაჯულების და განსასჯელის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, დაკითხვის წარმოება სავალდებულო, ვარგისი და მიზანშეწონილი უნდა იყოს (მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, გამომც.,,ბონა კაუზა", ქ.თბილისი, 2016წ, გვ. 86). დაზარალებულის ღირსების უფლების დაცვის მიზნით აუცილებელია გათვალისწინება ზემოთხსენებული გარემოებების და შესაბამისი მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ დაზარალებულს რომელსაც ხელახალი ვიქტიმიზაციის ფორმით მიადგება ახალი ზიანი იმ დანაშაულში მონაწილეობის გამო რომელშიც იგი დაზარალებულად იქნა ცნობილი. სწორედ ამ მიზნით აუცილებელია დაზარალებულის დაკითხვა მოხდეს ნაკლები ინტენსივობითა და სიხშირით, რათა ხელახლა არ განახლდეს დანაშაულის შედეგად მიღებული სტრესი (შალიკაშვილი. 2011წ. გვ. 130).

თავი III. დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა აღდგენითი „რესტორაციული" მართლსაჯულების პროცესში.

3.1 აღდგენითი მართლმსაჯულების მნიშვნელობა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული აღდგენითი მართლსაჯულების შესაძლებლობა, დაზარალებულის დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით ძალზედ მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რადგან სხვა სისხლისამართლებრივი ზემოქმედების ინსტიტუტებთან შედარებით ყველაზე უფრო მეტად ამ პროცესში ხდება დაზარალებულისათვის ზიანის კონპენსირება და მისი შემსუბუქება. „აღდგენითი მართლმსაჯულება" ესაა პროცესი, სადაც ყოველი მხარე, (დამნაშავე და დაზარალებული) რომელთაც კავშირი აქვთ კონკრეტულ დანაშაულთან, იკრიბება, რათა თანამშრომლობის საფუძველზე იმსჯელონ დანაშაულის შედეგზე და მის გავლენაზე მომავალში (ნ. გვენეტაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.განრიდება და მედიაცია, გამომც. „უნივერსალი", ქ.თბილისი, 2012წ. გვ.145).

დირექტივის მე-12 მუხლი ეხება აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხს, რომელსაც, ერთი მხრივ, შეუძლია დანაშაულის მსხვერპლს სარგებელი მოუტანოს, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიცავს მსხვერპლის მეორადი და განმეორებითი ვიქტიმიზაციის, დაშინებისა და შურისძიების რისკებს, ამიტომ მისი გამოყენებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს მსხვერპლის ინტერესებსა და საჭიროებებზე, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი პიროვნული მახასიათებლები. გარდა ამისა, მსხვერპლის მონაწილეობა უნდა ემყარებოდეს მის თავისუფალ არჩევანს და ნება-სურვილს. ამასთან, იგი ინფორმირებული უნდა იყოს პროცესის დადებით და უარყოფით მხარეებზე (European Commission, DG Justice, Guidance Document related to the transposition and implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 – 19/12/2013, p. 13).

საქართველოში დამნაშავისა და დაზარალებულის შერიგების ინსტიტუტი, კერძოდ, განრიდება და მედიაცია გამოიყენება როგორც სრულწლოვანთა, ისე არასრულწლოვანთა მიმართ. სრულწლოვანთა მიმართებაში, პროკურორი უფლებამოსილია ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა. განრიდების გაფორმებამდე პროკურორი ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2018 წლის მდგომარეობით, მუხლი 168). თუმცა, უკვე ნორმის ტექსტიდან იკვეთება, რომ პროკურორსა და დაზარალებულს შორის საუბარს არ აქვს მბოჭავი ძალა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დაზარალებულის მოსაზრება ვერ ახდენს გავლენას საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

სისხლისამართლებრივი მართლმსაჯულება ეფუძნება დანაშაულის ჩამდენის დასჯის სახელმწიფო მონოპოლიის პრინციპს, აღნიშნული პრინციპის თანახმად, რასაც აღდგენითი მართლმსაჯულება ეწოდება გულისხმობს, დანაშაულის მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის წარმოშობილი კონფლიქტის მოგვარებას სახელმწიფოს გარეშე. რაც შეეხება სახელმწიფოს მონოპოლიას დამნაშაულის დასჯის კუთხით, ე.წ სახელმწიფო იუსტიცია, აქტიურად ერევა აღნიშნულ კონფლიქტში და სჯის იმ პირს, ვინც ჩაიდინა დანაშაული სამართლიანობისა და დარღვეული სამართლებრივი წესრიგის აღსადგენად, ვინაიდან სახელმწიფო ბრალმდებელს პროკურორი წარმოადგენს იგი სახელმწიფოს სახელით ახორციელებს პირის სისხლისამართლებრივ დევნას, რაც სხვა ცალკეულ პირებს არ გააჩნიათ აქ აღსანიშნავია დაზარალებული თავისი შებოჭილი უფლებებით.

აღდგენითი (რესტორაციული მართმსაჯულება) მართლმსაჯულება სისხლის სამართლის დარღვეულ ნორმას და მისი დარღვევით გამოწვეულ შედეგს მიიჩნევა მეორეხარისხოვნად მიიჩნევს და დანაშაულს უპირველესად განიხილავს, როგორც ინდივიდებს შორის წარმოშობილ კონფლიქტს, რომელიც ზიანის მომტანია მასში მონაწილე ყველა მხარისათვის. აქ იგულისხმება უპირველესად დანაშაულის მსხვერპლი, სახელმწიფო, საზოგადებრივი უსაფრთხოება და თვით დანაშაულის ჩამდენი პირი.

აღდგენითი მართმსაჯულება ეფუძნება მოსაზრებას, რომ მხარეებს შორის წარმოშობილ კონფლიქტის მოგვარებაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს და თვითონ მხარეებმა დამოუკიდებლად შეძლონ აღნიშნულის მოგვარება საერთო კონსესუსის საფუძველზე და ამ პროცესში სახელწიფოს არ უნდა ეკავოს დომინირებული მდგომარეობა. ვინაიდან აუცილებელია მსხვერპლმა და დამნაშავემ სხვებისგან ჩაურევლად შეძლონ ორივესათვის სასურველი შედეგის მიღწევა, ამისათვის მართლმსაჯულებამ უნდა ეცადოს რომ დამნაშავე არა დასაჯოს არამედ მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესს ხელი შეუწყოს და მხარეებს მიანდოს აღნიშნული უთანხმოების მოგვარება სამართლებრივ ჩარჩოებში, მისი საჭიროება და აუცილებლობა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განაპირობა სისხლის სამართლის ლიბერალიზაცისაკენ გადაგმულმა ნაბიჯებმა და სხვა აუცილებელმა საჭიროებებმა (თუმანიშვილი. 2013წ გვ. 255).

აღდგენითი მართლმსაჯულება შეიძლება ითქვას დანაშაულს განიხილავს ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობების ხელყოფად, სისხლისამართლებრივი ტრადიციული დოგმებისაგან განსხვავევებით, აღდგენითი მართლმსაჯულების მიზანია მხარეებს დაუმკვიდროს სოციალურად თანასწორი ურთიერთობები, სადაც მხარეების უფლებები თანაბრად იქნება დაცული ყოველგვარი არამართლზომიერი ჩარევებისაგან, იგი ორიენტირებულია არამარტო დანაშაულის ჩამდენზე არამედ დანაშაულის მსხვერპლზეც და ამ უკანასკნელის უფლებების უზრუნველყოფაზეც ზიანის ანაზღაურები ჩათვლით, უნდა ითქვას რომ აღდგენითი მარლმსაჯულება ორიენტირებულია დამდგარი ზიანის აღმოფხვრისკენ, მისი გამოსწორების გზების ძიებისკენ, დაზარალებულისა და დამნაშავის რეაბილიტაციისკენ, რაც აუცილებელი წინაპირობაა მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და სოციალური ურთიერთობების აღდგენა შენარჩუნების, სისხლისამართლებრივი დევნისგან განსხვავებით რომლის ძირითადი მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენა და მისთვის სასჯელის შეფარდება სხვა უფრო მსუბუქი ალტერნატივის გამოყენების გარეშე (თუმანიშვილი. 2013 წ გვ. 256).

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობა აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილში დირექტივას მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დაზარალებული არ არის პროცესიდან გამოთიშული და განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ მასთან კონსულტაციის შემდეგ, მაგრამ ვინაიდან, პროკურატურას შეუძლია არ გაითვალისწინოს დაზარალებულის უარი და ამასთან დაზარალებული არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს, არსებობს საფრთხე იმისა, რომ ზიანი მიადგეს მის ინტერესებსა და საჭიროებებს და მოხდეს მისი მეორადი ან განმეორებითი ვიქტიმიზაცია.

3.2 დაზარალებულის (როლი) მედიაციის პროცესში

მედიაცია მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესის მხარდაჭერა და ხელშეწყობაა. (**Mediation is simply facilitated negotation**). სხვაგვარად რომ ითქვას, ეს არის სტრუქტურირებული მოლაპარაკების პროცესი, რომელიც პროფესიონალი მედიატორის მონაწილეობით მიმდინარეობს (**Mediation is generally no more than a structured negotiotion between parties**) (ცერცვაძე. 2010წ გვ. 34). თამამად შეიძლება ითქვას, რომ მედიაცია არის მხარეთა თავისუფალ ნებაზე დამყარებული პროცედურა, რომლის დროსაც დავის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლების არ მქონე მედიატორი სისტემურად უწყობს ხელს მხარეთა შორის ეფექტურ კომუნიკაციას პრობლების გადასაწყვეტად, რათა მხარეთა მიერ შესაძლებელი გახდეს პასუხისმგებლობების განაწილება სამართლიანი პირობებით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე (ცერცვაძე. 2010წ გვ. 37). როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლაწარმოებისას მოქმედებს ე.წ მედიაცია სამოქალაქო სამართლის მსგავსად, ოღონდ მედიაციის პროცესი ამ შემთხვევაში გამოყენებულია, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატივად. აღნიშნული ინსტიტუტის არსებობა დღემდე წარმატებით მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში.

სიტყვა ,,მედიაცია“ განმარტებულია შემდეგნაირად, იგი წარმოადგენს პირდაპირი ან არაპირდაპირი **,,ტრიადული ინტერაქციული ფორმით წარმოებული**

კონფლიქტის გადაჭრის პროცესს", რომელიც მხარეების მონაწილეობით მიმართულია კონფლიქტის მოგვარების გზების ძიებისკენ ე.წ მედიატორის მონაწილეობით, რომელსაც დავის გადაწყვეტის კონპეტენცია არ გააჩნია, თუმცა დავის გადაწყვეტის პროცესში ხელს უწყობს მხარეებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას. როგორც უკვე აღინიშნა, მედიაცია წარმოადგენს სასამართლოს ფარგლებს გარეთ არსებულ ინსტიტუტს, რომელიც თავის არსით წარმოადგენს არასაქვეყნო დავის გადაწყვეტის კონტრუქციულ განსაკუთრებულ ფორმას, სადაც მხარეები ნებაყოფლობით მესამე პირის მედიატორის დახმარებით თავისი ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, ერთსულოვან გადაწყვეტილებას აღწევენ. როდესაც მედიაციის პროცესი ეხება სისხლისამართლებრივ ურთიერთობებს, ამ შემთხვევაში მხარეებად მოლაპარაკების პროცესში გევლინება დანაშაულის მსხვერპლი და დანაშაულის ჩამდენი.

საერთაშორისო კონტექსტში ,,მედიაცის'' სისხლის სამართლის საქმეებზე უწოდებენ, როგორც ,,დანაშაულის მსხვერპლსა და დანაშაულის ჩამდენს შორის" მოლაპარაკების პროცესს (**victim – offender mediation**). აქვე აღსანიშნავია, საერთაშორისო კონტექსტის თანახმად, მედიაციის განმარტებისას პირველ ადგილს მდგომი დაზარალებული, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის მნიშვნელობასა და როლს აღნიშნული პროცესის წარმოებაში, იმ უფლებების აღდგენის კუთხით, რაც მას დაერღვა დანაშაული შედეგად (თუმანიშვილი. 2013წ გვ. 257). ანალოგიურად განმარტავენ აღნიშნულ ინსტიტუტს აშშ-ში, კანადასა და გაერთიანებულ სამეფოში, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მას უწოდებენ - დანაშაულის ჩამდენსა და დაზარალებულს შორის შეთანხმების პროცესს (**Taler – Opfer-Ausgleich**).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, თითოეული სახელმწიფო, ასევე კრიმინოლოგიურ, სოციალურ - პედაგოგიური ლიტერატურის წარმომადგენლები თანხმდებიან მედიაციის დადებით ეფექტზე სისხლის სამართლის პროცესის განვითარების პარალელურად და ამახვილებენ რამოდენიმე პოზიტიურ გარემოებებზე. ესენია : ა) ხელს უწყობს დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის ადამიანური ურთიერთობების აღდგენას. ბ) დაზარალებულს ეხმარება ემოციურ,მორალურ და მატერიალურ რესოციალიზაციაში. გ) ხელს უწყობს დამნაშავის რესოციალიზაციას და

პიროვნულ მოწიფულობას. დ) აუმჯობებებს დანაშაულის მსხვერპლის აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისას. ე) დანაშაულის ჩამდენს თავიდან არიდებს სისხლისამართლებრივ ნასამართლობას, რითაც სისხლის სამართალი ხდება უფრო ლიბერალური და არა რეპრესიული (თუმანიშვილი. 2013წ გვ. 258). დაზარალებულს ქვეყანაში სამართლიანობის განცდა, რომ არ დაეკარგოს აუცილებელია, იგი ჩართულ იყოს უშუალოდ დანაშაულის ჩამდენთან კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული, რაც ასევე დადებით ეფექტს ახდენს ახალი დანაშაული პრევენციაზე, დაზარალებულზე ხელმეორედ დანაშაულებრივი მოქმედების განხორციელების თავიდან არიდების მხრივ. სწორედ აღნიშნული საფრთხეების განეიტრალება მოხდება მედიაციის მეშვეობით დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის((შერიგებით) მონანიებით (კავთუაშვილი. 2013წ გვ. 3).

ქართველმა კანონმდებელმაც იზრუნა საპროცესო კანონმდებლობის შეცვლა თანამედროვე ქვეყნების მსგავსად და საპროცესო კოდექსში გააკეთე ჩანაწერი ბრალდებულის განრიდება/ მედიაციის შესახებ, რომელიც წარმოადგენს სისხლისამართრლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს, რომელიც გულისხმობს დანაშაულის ჩამდენის მიმართ ისეთი ღონისძიების გამოყენებას , რომელიც არ გულისხმობს პირის სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდებას და სისხლისამართლებრივ დევნას, აღნიშნულის საპირწონედ ბრალდებულს ევალება დაზარალებულთან შერიგება ზარალის ანაზღაურება და სხვა რესტორაციული მოქმედებების განხორციელება, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ პროკურორს უფლება აქვს დაიწყოს სისხლისამართლებრივიდ დევნა და მოითხოვოს სასჯელის შეფარდება. დადებითი მხარეა უდავოდ ამ მექანიზმის გამოყენება დამნაშავეზე, ვინაიდან მის სისხლის სამართლის ნასამართლობას არ იწვევს აღნიშნული გარემოება, რადგან სასამართლო არ მსჯელობს პირის ბრალეულობაზე და შესაბამისად განაჩენის გამოტანა არ ხდება დანაშაულის ჩამდენის მიმართ (ფაფიაშვილი. 2015 წ გვ. 487) განრიდების გამოყენებას აქვს თავისი ძირითადი წინაპირობები. კერძოდ საუბარია იმაზე, რომ ბრალდების მხარემ პირის მიმართ რომ გამოიყენოს განრიდების შეთანხმება სახეზე უნდა იყოს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, ასეთი დანაშაულების არსებობის შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია პირის მიმართ გამოიყენოს

აღნიშნული ინსტიტუტი და მასთან დადოს შეთანხმება (ხელშეკრულება), რომელიც ეფუძნება აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპს. პროკურორს აძლევს შესაძლებლობას არ დაიწყოს სისხლისამართლებრივი დევნა ცალკეული დანაშაულების კატეგორიების მიმართ, საჯარო ინტერესის არ არსებობის პირობებში, თუმცა მას ასევე ევალება ნებისმიერი დანაშაულის ფაქტი არ დატოვოს ყურადღების გარეშე და დაზარალებულის უფლებების დაცვა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების გარეშე (თუმანიშვილი. 2013წ. გვ. 259).

აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ,,განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის 216-ე ბრძანება“, რომლითაც განისაზღვრა არასრულწლოვნებისთვის, ასევე სრულწლოვნებისათვის აღნიშნული მექანიზმის გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები. ესენია : დანაშაულის სიმძიმე, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე დაზარალებულის მიმართ, დამნაშავის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, სისხლისამართლებრივი დევნის პრევენციული ეფექტი მის შემდგომ ქცევაზე და ბოლოს მის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე (შალიკაშვილი. 2016 წ გვ. 94) აღნიშნული გარემოებების გათვალისწინების შემდეგ პროკურორი საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების 2016 წლის 1 - თებერვლის #120-ე თანახმად, მოქმედებს და ხვდება დაზარალებულს, რომელსაც უმარტავს იმ საფუძვლებს, რამაც იგი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ბრალდებულის მიმართ ალტერნატიული ღონისძიების ,,განრიდების'' გამოყენება მიზანშეწონილია. ამის შემდეგ, იგი ისმენს დაზარალებულის დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ და არკვევს დაზარალებულის ჩართვამ რა დადებითი ეფექტი შეიძლება მოუტანოს დაზარალებულს, ამასთან რატომ არის მისთვის მედიაციის პროცესი სასარგებლო. აქვე უნდა აღინიშნოს რომ დაზარალებულის მიერ უარყოფითი დამოკიდებულება ამ პროცესის მიმართ რაიმე ქმედით ზემოქმედებას ვერ ახდენს პროკურორის მისაღებ გადაწყვეტილებაზე და მას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მხოლოდ კანონი ბოჭავს და არა დაზარალებულის პოზიცია საკითხთან მიმართებით (შალიკაშვილი. 2016 წ გვ 97).

3.3 მედიაციისა და სასჯელის ურთიერთმიმართება.

სისხლისამართლებრივი დასჯის რეპრესიული ხასიათისაგან მედიაცია არსობრივად განსხვავდება, ვინაიდან პირის დასჯა და შესაბამისად სასჯელი განიხილება როგორც სახელმწიფოს ცალმხრივი რეაქცია დანაშაულზე, ამისგან განსხვავებით მედიაცია განიხილება როგორც მხარეთა აქტიურ თანამშრომლობაზე დაფუძნებული კონსესუსი, სადაც ყოველი მხარე თანხმდება რაღაც პირობაზე. მიუხედავად ამ ორ ინსტიტუტის განსხავავებისა არსებობს შეხედულება იმის შესახებ რომ მედიაციით (დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებითაც შესაძლებელია იმ შედეგის მიღწევა, რასაც კანონმდებელი პირის სისხლისამართლებრივი დასჯისას აღწევს. აღნიშნულზე დასაბუთებული პასუხის გასაცემად აუცილებელია განხილულ იქნას მედიაცია და სასჯელის მიზნები (თუმანიშვილი. 2013წ. გვ 261).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზნებია : სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის პრევენცია და დამნაშავის რესოციალიზაცია. ამით კანონმდებელმა, ხაზი გაუსვა აბსულუტურ და პრევენციულ თეორიათა სინთეზირებას. სასჯელის აბსულუტური თეორია სასჯელის მიზნად მოაზრებს სამართლიანობის აღდგენას, ხოლო პრევენციული თეორია დანაშაულის თავიდან აცილებისკენაა მიმართული. აბსოლუტური თეორია ხასიათდება სამაგიეროს მიზღვით და ამბობს, რომ სასჯელს არ შეიძლება იმის მეტი ფუნქცია ქონდეს დასჯის გარდა (დვალიძე. 2013წ. გვ.16). ამისგან განსახვავებით, დღესდღეისობით სასჯელის რეპრესიული ფუნქცია არა სამაგიეროს მიზღვაში გამოიხატება, არამედ დანაშაულის გამოსყიდვაში და ფაქტის გამოსწორებაში (თუმანიშვილი. 2013. გვ 262).

გარდა ამისა, ნეგატიური პრევენციის თეორია მიიჩნევს, რომ საზოგადოება დაცულ უნდა იქნას გამოუსწორებელი დამნაშავეთაგან მათი ხანგრძლივი იზოლაციით, ამ მოსაზრებისგან განსხვავებით, სპეციალური პოზიტიური პრევენციის თეორია ავითარებს შეხედულებას, რომ პირის მიმართ ალტერნატიული ღონისძიებების დაკისრება მიზანშეწონილია სხვა უფრო მძიმე სასჯელის გამოყენების გარეშე (ტურავა. 2013წ. გვ 355). აუცილებელია განხილულ იქნას გენერალური ზოგადი პრევენციის თეორია, რომელიც ორი ასპექტითაა მოცემული : ნეგატიური და პოზოტიური

პრევენციული ღონისძიებები. ნეგატიურის მიზანია საზოგადოების დაშინება სასჯელის გამოყენებისას არ ჩაიდინონ მათ მომავალში დანაშაული, ხოლო პოზიტიურის თანახმად სასჯელის გამოყენებას გააჩნია დადებითი ეფექტი საზოგადოებაში სამართლის პატივისაცემად. მედიაციის პროცესში აღნიშნული მიზნების მიღწევა მაშინაა შესაძლებელი, როდესაც საზოგადოება აქტიურ მხარდაჭერას გამოუცხადებს დაზარალებულსა და დამნაშევეს შორის მიმდინარე მედიაციისს პროცესს კონსესუსის მიღწევის საქმეში .

თანამედროვე ქვეყნები სწორედ მედიაციას იყენებენ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების საქმეებზე იმისათვის რომ დაზარალებული იყოს ამ პროცესში აქტიურად ჩართული რათა მას განუმტკიცდეს სამართლადმაცვათა მიმართ ნდობა, მიყენებული ზიანის ანაზღაურების ჩათვლით მოახდინოს მისი უფლებების სრული კონპენსირება მეორე მხარესთან შეთანხმების მიღწევით, სადაც მხარეები ნდობაზე დამყარებული ურთიერთობებით აწესრიგებენ პრობლემურ საკითხებს. განსხვავებით გენერალური პრევენციის ნეგატიური ასპექტისა, რომელიც მხოლოდ მიზნად ისახავს ხალხის დაშინებას და დაზარალებულის უფლებების დაცვისა და უზრუვნელყოფისაკენ არავითარ ქმედით ნაბიჯს არ შეიცავს (თუმანიშვილი. 2013 წ გვ. 267).

როგორც უკვე აღინიშნა, განრიდება/მედიაცია არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ალტერნატიული მექანიზმი, სადაც მხარეები ურთიერთშეთანხმებით, ნდობაზე დამყარებული კომუნიკაციის საფუძველზე აღწევენ საერთო შეთანხმებას. აღნიშნული შეიძლება გულისხმობდეს დაზარალებულის დარღვეული უფლებების კონპენსირებას ზიანის ანაზღაურების ფორმით, მის წინაშე შეცდომის აღიარებით, დაზარალებულისგან პატიების თხოვნას, ასევე დამნაშავის დაცვას სასჯელისაგან, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ძალზედ მკაცრი და არაჰუმანური შეიძლება იყოს. საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ ამ ინსიტუტის დადებითი მხარეები მხარეთა ინტერესების გათვალისწინების საქმეში, რადგან სწორედ მასში ყველაზე ნაკლებადაა სისხლის სამართლის რეპრესია და მხარეები თავისუფალ ნებაზე მიმდინარეობს მთლიანი პროცესი.

თავი IV. საჩივრის უფლება, როგორც დაზარალებულის პრივილეგია.

4.1. დაზარალებულის უფლებები პროკურორის მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიმართ

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 100-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება, ხოლო თუ გამოძიება დაიწყო გამომძიებელმა ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობებს პროკურორს. გამომდინარე აქედან, გამოძიება არის საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებათა ერთობიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვება და მათი საპროცესო დამაგრება (ლომსაძე. 2016წ გვ. 163).

ზემოთხსენებული გარემოებებიდან ნათლად ჩანს პროკურატურის ცენტრალური ადგილი გამოძიების დაწყების და შემდგომი წარმოების პროცესში , ვინაიდან სსსკ-ის მე-100 მუხლის თანამხად, გამომძიებელი მთლიანად დამოკიდებულია პროკურორზე და მის დისკრეციაზე, რის დასტურსაც წარმოადგენს ამავე მუხლში არსებული სიტყვა - ,,დაუყონებლივ'' შეატყობინოს პროკურორს გამოძიების დაწყების თაობაზე. სისხლის სამართლის პროცესში ბრალდების მხარეს წარმოადგენს მხოლოდ პროკურატურა და დაზარალებული მხოლოდ პროცესის მონაწილეა, რაც იმის ნიშნავს რომ მთელი ბრალდების ტვირთი პროკურატურაზე და საგამოძიებო ორგანოებზე მოდის. პროკურატურა ერთის მხრივ, სახელმწიფოსა სახელით გამოდის პროცესზე და მეორეს მხრივ დაზარალებულის ინტერესების გამტარებელ სუბიექტად გვევლინება, დაზარალებული განიხილება, როგორც ბრალდების მოწმე და დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მისი სასამართლო პროცესზე გამოძახება დამოკიდებულია პროკურორის გადაწყვეტილებაზე (კარიაული. 2011წ გვ 139).

ზემოთხსენებულ პროცესში, პროკურორი ვალდებულია თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს ობიექტურობისა და სამართლიანობის ინტერესებით (ლალიაშვილი.2015წ გვ. 267), სადაც გათვალისწინებული იქნება

დაზარალებულის ინტერესები. საქართველოს მთავარი პროკურატურა საზოგადოების წინაშე მისი საქმიანობიდან გამომდინარე ანგარიშვალდებულია (იხ. იუსტიციის მინისტრის ბრძანება #181. 2010. 08 ოქტომბერი). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პროკურატურის ვალდებულებას გამოძიების დაწყებისას ცალსახად განსაზღვრავს, რაც **ex officio**-გამოძიების დაწყებას გულისხმობს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე. გარდა ამისა, პროკურატურა გამოძიების დაწყებისას ხელმძღვანელობს ლეგალურობის პრინციპით, რაც ასევე გულისხმობს ნებისმიერ დანაშაულის საქმეზე დაიწყოს გამოძიებას, თუმცა აქ დამატებულია სისხლის სამართლის პროცესის მიზნები, რომლის გაანალიზების შემდგომ უნდა იმოქმედოს პროკურატურამ, რამდენად შედეგის მომტანი იქნება გამოძიების შემდგომი წარმოება და სასამართლო პროცესზე, რამდენად შესაძლებელი იქნება სამართლიანი დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილება მიღებული (ლალიაშვილი. 2015წ გვ. 269).

პროფესორი, თ. ლალიაშვილი პროკურატურას უწოდებს გამოძიების ,,თავს'', ხოლო მასზე დაქვემდებარებულ ორგანოებს ხელებს, ეს ხატოვანი გამონათქვამით შეიძლება ითქვას რომ პროკურატურა გამოძიების ინტელექტს - ,,ტვინს'' წარმოადგენს, ხოლო საგამოძიებო ორგანოები ამ ინტელექტის პრაქტიკაში განმახორციელებელ ორგანოებს. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ დაწყებული გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა საკმარისობის საფუძველზე, პროკურორი საკუთარი შეხედულებისამებრ იღებს გადაწყვეტილებას აღძრას თუ არა პირის მიმართ ბრალდება, გამოიტანოს თუ არა დადგენილება პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება ხდება პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით, თუმცა მართალია დისკრეციის მბოჭავი მექანიზმი დაზარალებულს ამ პროცესში არ გააჩნია, მაგრამ ახალი საკანონმდებლო რეგულაცია, რომლითაც კანონი ავალდებულებს პროკურორის ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ერთი კვირით ადრე კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან და შეადგინოს ოქმი ეს ხაზს უსვამს იმას რომ მართალია პროკურორს შეძლია თავისი შეხედულებისამებრ იმოქმედოს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღებაში დაზარალებული და მისი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება მოახდინოს (სსსკ-ის მე-16 მუხლი, 169-ე მუხლის მე-2 ნაწილი.) (ლალიაშვილი. 2015წ. გვ. 269),

როგორც უკვე აღინიშნა საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება და შემდგომი განხორციელება წარმოადგენს პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას (სსსკ-ის 16-ე მუხლი).

საქართველოში პროკურორი სარგებლობს ფართო დისკრეციის ფარგლებში, რის გამოც სისხლისამართლებრივი დევნა პირის მიმართ პროკურატურამ შესაძლოა საერთოდ არ დაიწყოს ან შემდგომ უკვე დაწყებული შეწყვიტოს, თუ მივა დასკვნამდე იმასთან დაკავშირებით რომ სისხლისამართლებრივი დევნა ეწინააღმდეგება სისხლისამარტლებივი პოლიტიკის სახელძღვანელო პრინციპებს, ამდენად შესაძლოა პროკურორმა სისხლისამართლებრივი დევნისას დისკრეცია სამი ფორმით გამოიყენოს. კერძოდ ესენია ა) პირის მიმართ დაიწყოს სისხლისამართლებრივი დევნა ბ) უარი თქვას სისხლისამართლებრივ დევნაზე გ) ან პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის გაგრძელებაზე უარი თქვას და შეწყვიტოს მის მიმართ დევნა, ამასთან ერთად აღსანიშნავია ერთი მომენტი რომ სისხლისამართლებრივი დევნა პროკურორის უფლებამოსილებას წარმოადგენს და არა ვალდებულებას (მეურმიშვილი. 2014წ გვ. 175) იუსტიციის მინისტრის #181 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანების თანახმად, პროკურორი სისხლისამართლებრივ დევნას იწყებს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს საამისო სამართლებრივი საფუძველი ესენია: ა) სახეზეა დანაშაულებრივი ქმედება; ბ) საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ამ კონკრეტული პირის მიერ. ამ გარემოებიების გათვალისწინების საფუძველზე პროკურორი უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი ერთი რომელიმე გადაწყვეტილება მისი დისკრეციის ფარგლებში: ა) ჩაატაროს ან მოითხოვოს დამატებითი გამოზიების ჩატარება; ბ) უარი თქვას პირის სისხლისამართლებირივი დევნის დაწყებაზე და გამოიყენოს სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი; გ) უარი თქვას პირის სისხლისამართლებრივ დევნაზე ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების გარეშე (მეურმიშვილი. 2014წ გვ.175).

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ცხადია საკითხი იმის შესახებ, რომ პროკურორი თავისი დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს გამოძიების

ეტაპზზე, ხოლო ცალსახად საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, რომ შეუძლია თუ არა პროკურორს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება სასამართლოში სამართალწარმოების ეტაპზე, საქართველოს სისხლისა სამართლის საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის თანახმად პროკურორს შეუძლია სასამართლოს ნებისმიერ ინსტანციაში ბრალდებულს შეუმსუბუქოს პასუხისმგებლობა, ან საერთოდ უარი თქვას პირის ბრალდებაზე ზემდგომი პროკურორის თანხმობით, აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია ხაზს უსვამს იმის რომ პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს, როგორც გამოძიების ეტაპზე ასევე სასამართლოში (სსსკ-ის 250-ე მუხლი) (მეურმიშვილი. 2014. გვ.177), როგორც უკვე აღინიშნა პროკურორი პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნისას სარგებლობს ფართო დისკრეციით, მაგრამ ამ დისკრეციის გამოყენებისას არსებობს გარემოებები, რომლის გათვალისწინებაც მას ევალება. აუცილებელია პროკურორი იყოს მიუკერძოებელი დაუშვებელია მასზე, ვინმემ ან რაიმემ არამათლზომიერი ზემოქმედება განახორციელოს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროკურორმა დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისამართლებრივიდ დევნის მიზანშეწონილების გათვალისწინებით.

პროკურორი ვალდებულია, გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს ე.წ. ,,მტკიცებულებათა ტესტით''. მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტით, რომლებიც საერთო ჯამში ქმნიან სრულფასოვან მტკიცებულებათა ტესტს, პროკურორი ზემოთხსენებული ტესტების არსებობისას და მისი პირობების დაყმაყოფილების შემთხვევაში იწყებს პირის მიმართ სისხლისამართლებრივ დევნას (იუსტიციის მინისტრის ბრძანება # 181 2010წ 08-ოქტომბერი მე-3 ნაწ.). როგორც მტკიცებულებითი, ასევე საჯარო ინტერესის ტესტი, შეფასებითია და აუცილებელია პროკურორმა ინდივიდუალური მიდგომებით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა განიხილოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზისა და შეფასების გზით, ხოლო შემდგომ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების ან არ დაწყების თაობაზე (მეურმიშვილი.2014წ.გვ.180). როგორც აღვნიშნე, მტკიცებულებათა ტესტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის დასაწყებად, აქვე აუცილებელია განვიხილოთ იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის #181 ბრძანება, სადაც საუბარია

მტკიცებულებათა ტესტზე, რომ ,,იგი წარმოადგენს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რომელიც ქმნის საკმარის საფუძველს'', რომ პირის მსჯავრდებისათვის შეიქმნას რეალური პერსპექტივა სასამართლოში. აგრეთვე ამ დოკუმენტის თანახმად, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს ან დაწყებული სისხლისამართლებრივი დევნა უნდა შეწყვიტოს თუ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული ან ნაკლებადაა მოსალოდნელი პირის მსჯავრდება სასამართლოს მიერ. გამომდინარე აქედან, პროკურორს ევალება დევნის დაწყებისას ასევე მასზე უარის თქმისას აუცილებლად გაითვალისწინოს აღნიშნული მტკიცებულებათა ტესტი და მიიღოს შესაბამისი სამართლიანი, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, ისე რომ დაზარალებულისათვის სრულად იყოს გასაგები ის გარემოებები მტკიცებულებათა მხრივ, რითაც იხელმძღვანელა პროკურორმა და მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება (მეურმიშვილი. 2014წ. გვ.180-181).

პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელებისას აუცილებელია მტკიცებულებათა ტესტთან ერთად საჯარო ინტერესების ტესტი სადაც უფრო მოცულობითაა მოცემული დაზარალებულის ინტერესების დაცვაზე იქნება მსჯელობა, კერძოდ ამ ტესტში საუბარია იმაზე რომ პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება უნდა იყოს განპირობებული საჯარო ინტერესით, მიუხედავად მართლმასჯულების ინტერესისა მაშინაც კი როცა მტკიცებულებათა ტესტი არ კმაყოფილდება პროკურორმა არ უნდა დაიწყოს სისხლისამართლებრივი დევნა პირის მიმართ თუ დევნის დაწყება ეწინააღმდეგება ,,საჯარო ინტერესებს'' აუცილებელია და მაშასადამე საინტერესოა განისაზღვროს თუ რა იგულისხმება საჯარო ინტერესში. იუსტიციის მინისტრის ბრძანება #181 2010წ. 08-ოქტომბერი).

სიტყვა <u>,,ინტერესი'',</u> როგორც კატეგორია, სხვადასხვა მეცნიერების დარგის შესწავლის საგანია. აღნიშნული სიტყვა საზოგადოებაში ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ ურთიერთობებში, როგორც რაიმეს შედეგი, მიზანი, წესი. იურიდიულ მეცნიერებაში ზოგიერთი ავტორის აზრით, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი საპროცესო ფუნქციის, მათ შორის სისხლისამართლებრივი დევნის არსის სწორედ განსაზღვრისათვის (მეურმიშვილი. 2014წ.გვ. 181). თუმცა აუცილებელია აქვე

აღინიშნოს იმ მეცნიერთა შეხედულებები, რომლებიც საჯარო ინტერესს ბუნდოვან ცნებას უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ ამ ტერმინის გამოყენება მიზნად ისახავს გამოყენებული საპროცესო ღონისძიების მიზანშეწონილების გამართლებას. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევებში ხშირად იყენებენ ამ ტერმინს იმისათვის, რომ მოხდეს საფუძველს მოკლებული ცნებების უარყოფა (მეურმიშვილი. 2014წ, გვ. 182). აქვე აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოება, რომ საჯარო ინტერესის განმარტებაც სამი სახისაა, კერძოდ :

1) საჯარო ინტერესია ხალხის, საზოგადოების წევრთა, საერთო ინტერესი,
2) ინტერესს წარმოადგენს საზოგადოების იმ რამოდენიმე წევრის ინტერსთა ერთობლიობა, რომელიც ქმნის სწორედ ამ საზოგადოებას, ამ კრიტერიუმში უნდა ვივარაუდოდ დაზარალებული და მისი ინტერესების დაცვა პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე პირის მიმართ სისიხლისამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე
3) საჯარო ინტერსი წარმოადგენს მორალურ კონცეფციას, რომლის შეფასებაც ხდება განზოგადებული ღირებულებებით როგორიცაა ,,მართლმსაჯულების ხელყოფა'' ან პიროვნების თავისუფლების ფარგლების ფარგლების მაქსიმალური გაფართოება (მეურმიშვილი. 2014წ გვ. 182) .

გარდა ზემოთხსენებული განმარტებების არსებობს კიდევ ერთი შეხედულება იურიდიულ ლიტერატურაში, რომლის თანახმადაც საჯარო ინტერესი წარმოადგენს კანონით დაცულ ინტერესს, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირისათვის დასჯის შეუქცევადი გარემოს შექმნა, პროკურორი იცავს რა საჯარო ინტერესს და ახორციელებს თავის ფუნქციებს ცალკეული ორგანოებისა და მოქალაქეების ნების მიუხედავად (მეურმიშვილი. 2014წ გვ.182).

პროკურორმა საჯარო ინტერესით ხელმძღვანელობისას უნდა გაითვალისწინოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითად პრინციპებში ჩამოყალიბებული ის გარემოებები, რომლებიც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხედველობის ქვეშ იქნეს მოქცეული. მოცემულ თემასთან მიმართებით გამოვყოფ იმ ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს რაც აუცილებელია დაზარალებულის

ინტერესების დაცვის კუთხით სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებისას და ასევე შეწყვეტისას. უპირველესად სახელმწიფოს პრიორიტეტია, მაშასადამე ბრალდების მხარის, - დამნაშავის სათანადო დასჯა და შესამაბისი მართმსაჯულების განხორციელება. ამისათვის, პროკურორმა ზუსტად უნდა შეისწავლოს დანაშაულის ბუნება სიმძიმე და მიყენებული ზიანის მასშტაბი დაზარალებულის მიმართ, აგრეთვე იგი ვალდებულია ყურადღება გაამახვილოს არამარტო დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას, არამედ თვით დანაშაულის შედეგად წარმოშობილ ზიანზე მთლიანად საზოგადოების მიმართ (იუსტიციის მინისტრის ბრძანება #181, 2010 08 -ოქტომბერი).

საზოგადოების მიმართ ზიანი შეიძლება გამოიხატოს მატერიალურ ზიანში, ასევე ზიანის საფრთხეში, რომელიც ნებისმიერ დროსაა პირისგან მოსალოდნელი, რაც მისი მხრიდან სამართლებრივი წესრიგის დარღვევის ფორმით გამოიხატება. გარდა ამისა პროკურორის აუცილებლად ევალება გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღებისას დაზარალებულის ოჯახის წევრს ან წევრების ინტერესები, რა დროსაც მან უნდა გაითვალისწინოს მათი ფიზიკური, ეკონომიკური, და ფსიქიკური ფაქტორები, აგრეთვე თვით დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი, სქესი და სხვა მახასიათებელი ნიშნები. ამ პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია, ზიანის ანაზღაურების ფაქტორის გათვალისწინება, თუმცა ეს უკანასკნელი გარემობა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ზიანის ანაზღაურებით ბრალდებული ცდილობს პასუხისმგებლობის მოხსნას, არამედ ზიანის ანაზღაურება უნდა იყოს სიმბოლური ხასიათის დაზარალებულის მიმართ, რომლითაც ბრალდებული გამოხატავს მის ადამიანურ მხარეს დაზარალებულის მიმართ და სამართლიანობის აღდგენა ამ ფორმით ნაწილობრივ მაინც მოხდება. აუცილებელია გადაწყვეტილების აღსრულებით დამნაშავის ცნობიერებაში მოხდეს გარდატეხა, მან შეიგნოს თუ რა ნეგატიური ეფექტი იქონია მისმა მოქმედებამ დაზარალებულზე და ამით მან შეეცადოს საკუთარ თავს გამართლების შესაძლებლობა მოუსპოს.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, პროკურორმა სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებისას, ასევე მისი შეწყვეტისას უნდა

გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი. რაშიც იგულისხმება დაზარალებულის პიროვნება, მასზე მიყენებული ზიანის სიმძიმე მომავალში, მასზე ან საზოგადოების სხვა წევრზე შესაძლო ახალი ზიანის საფრთხეები და ამ ფაქტორების გაანალიზების შემდგომ მიიღოს სამართლებრივი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების, შეწყვეტის თუ სისხლისამართლებრივი ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების შესახებ (მეურმიშვილი. 2014 წ გვ. 183).

იმის საილუსტრაციოდ თუ როგორ არ უნდა მოქმედებდეს პროკურატურა მოვიყვან კონკრეტულ მაგალითს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან. კერძოდ, საქმეზე მოქ. ძამაშვილი და ხაინდრავა საქართველოს წინააღმდეგ (#18183/05.2010.10.06) პირები თავს მიიჩნევდნენ დაზარალებულებად იმ მატერიალურ-პროცესუალურ წარმოებაში, სადაც პროკურატურამ უგულებელყო მათი კონსტიტუციური უფლება და ისინი პირისპირ დატოვეს დაუცველად დამნაშავეების წინაშე. მათ წინააღმდეგ 1997 წელს ჩადენილ ყაჩაღობის საქმეზე, სადაც ბრალდებულებმა დაზარალებულები ძლიერ ცემეს კონდახებითა და წიხლებით, ამასთან შეეცადნენ ქონების მისაკუთრებას. ამ ფაქტიდან მეორე დღეს, დაზარალებულებმა მიმართეს ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუტურას იმის შესახებ, რომ მათ ოჯახზე მოხდა თავდასხმა და განიცადეს უდიდესი ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ზიანი. საჩივრის პასუხად, სამართალდამცავებს არაინაირ ღონისძიებაზე არ მიუმართავთ და არც გამოძიება დაუწყიათ, შესაბამისად არც სისხლისამართლებრივი დევნა განუხორციელებიათ. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სახეზეა ყოველგვარი უფლებების ხელყოფა დაზარალებულის მიმართ სახელწიფოს მიერ, ფუნდამენტური უფლებებიდან დაწყებული სხვა დანარჩენი უფლებების ჩათვლით.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული გარემოებები დეტალურად შეისწავლა და თქვა, რომ დაზარალებულის მიერ მრავალჯერ მიმართვის მიუხედავად, დაუსაბუთებლად არ მოქმედებდა სამართალდამცავი სრუქტურა - პოლიცია, ასევე პროკურატურა, რითაც მათ ხელყვეს დაზარალებულის უფლება და არ მოახდინეს ამ პირების ადეკვატური დაცვა მოსალოდნელი

საფრთხეებისგან. ასევე არ განახორციელეს დანაშაულის ჩამდენი პირების დასჯა, რომლებიც თავდამსხმელ სუბიექტებს წარმოადგენდნენ. საგულისხმოა, სამართალდამცავების მიერ ამ პირების ვინაობის ცოდნის ფაქტი, რის მტკიცებულებით ხარისხსაც უზრუნველყოფდა დაზარალებული პირების მიერ გადაღებული ვიდეო ფირები და საქმეზე არსებული პირველადი ვერსიები.

აღნიშნული პრეცედენტის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას რომ თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყანაში აუცილებელია სამართლის ნორმების შექმნასთან ერთად სათანაადოდ მოახდონოს მათი დაცვა და გაკონტროლება რომ თავიდან იქნეს აცილებული დამნაშავის დაუსჯელობა და ასევე ადამიანის უფლებების დარღვევა (მეურმიშვილი. 2014წ გვ. 192). სახელმწიფო ვალდებულია დამნაშავი დასჯის პარალელურად იზუნოს დაზარალებულზე რომ არ მოხდეს მის მიმართ ხელახალი ზიანი ბოროტმოდმედის მხრიდან ან ასევე მათი მიერ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების არასათანადო გამოძიებისა და სისხლისამართლებრივი დევნისას (თუმანიშვილი. 2009წ გვ. 64).

თითოეული ადამიანის შეუზღუდავად აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს მისი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით. სწორედ დაზარალებულია ის პირი, რომელმაც უკვე ერთხელ განიცადა თავზე ზიანი და მოსალოდნლია მან ხელახლა განიცადოს ზიანი სამართალწარმოებისას ისეთი ფართო დისკრეციის ფარგლებში, რაც პროკურორს გააჩნია დღეს მოქმედი კანონმდებლობით მთლიანი პროცესის მსვლელობისას (მეურმიშვილი.ბ 2014 წ გვ. 193). სწორედ ამ კუთხით 2014 წელს გატარდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც დაზარალებულს მიეცა შესაძლებლობა გამოძიებისა/სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა ზემდგომ პროკურორთან, ხოლო თუ ზემდგომი პროკურორი არ დააყმაყოფილებს აღნიშნულ საჩივარს და საქმე განეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, მაშინ დაზარალებულს მიეცა უფლება აღნიშნული უარი სასამართლოში გაესაჩივრებინა 15 - დღის ვადაში.

სრულიად გასაგებია კანონმდებლის ნება, რომ მას სურს სამართალდამცავი ორგანოები მოაქციოს სასამართლოს კონტროლს ქვეშ, ვინაიდან სწორედ სასამართლოა

ის ორგანო, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ეცდება სამართლებრივად შებოჭოს დაზარალებულის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის მცდელობა ბრალდების მხარის მიერ გადაწყვეტილებებით, აგრეთვე ასანიშნავია ამ ცვლილების ნაკლოვანება ერთის მხირვ რომ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა საქმეებზე რომ არ აქვს დაზარალებულს უფლება სასამართლოში გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ისეთ ფონზე, რომ პრაქტიკაში საქმეთა უმრავლესობა სწორედ ამ კატეგორიის საქმეებზე მოდის (ნაცვლიშვილი. 2016წ გვ. 10.). დაზარალებულის მიერ ამ უფლების პრაქტიკული რეალიზება ზემოქმედებას ახდენს პროკურატურის მიერ მიღებულ გადაწვეტილებებზე სისხლისამართლებრივი გამოძიების/დევნის დაწყებისა და შეწყვეტის კუთხით, პროკურორმა მიიღოს მხოლოდ სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილება და დაიცვას ამ ფორმით დაზარალებულის ინტერესები... (მეურმიშვილი. 2014წ გვ. 195)

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე პროკურორს ევალება მის მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს დაზარალებული, მისი კანონით მინიჭებული უფლებები, ის ზიანი და ზიანის ხარისხი, რაც მან განიცადა უშუალოდ დანაშაულის შედეგად, ასევე მომავალში შესაძლო ზიანი, რომელიც ობექტურად ემუქრება დაზარალებულს ბოროტმოქმედისგან ან სხვა პირისგან. გარდა ამისა, აუცილებელია იცოდეს დაზარალებულის პოზიცია საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და ამის შემდგომ კანონის ფარგლებში მიიღოს სამარლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილება.

4.2 დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას

საქართველოში მომხდარი ვარდების რევოლუციის შემდეგ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმალური პროცესის პარალელურად, ამ კოდექსის ფარგლებს გარეთ ჩამოყალიბდა, პრაქტიკაში De lege ferenda პროცესის ახალი ფორმა - საპროცესო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი გახდა სამართალწარმოების შეწყვეტა ჯერ კიდევ

გამოძიების ეტაპზე, თუ რა თქმა უნდა ბრალებულისათვის და ბრალდების მხარისათვის სასურველი პირობების მიღწევა მოხდებოდა, აქედან გამომდინარე სახეზეა მხოლოდ ორი მხარე ბრალდება (პროკურატურა) და დაცვის მხარე ბრალდებული და მისი ინტერესების დამცველი, ხოლო მოლაპარაკების პროცესში დაზარალებული პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა ყველაზე უფრო დიდი ზიანი საერთოდ არ ფიგურირებს, უფრო მეტიც აღნიშნული ინსტიტუტის პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებამ ერთგვარი არაკანონიერი სახე მიიღო, კერძოდ საუბარია იმაზე რომ ბრალდებულ პირებს პრაქტიკულად შეეძლოთ თავისუფლების გამოსყიდვა სახელმწიფოსგან გარკვეული თანხის სანაცვლოდ (ლალიაშვილი. 2013წ გვ. 275). აქვე აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში მოქმედი საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ არის აშშ-ში არსებული ,,ბრალის აღიარებაზე გარიგების“ იდენტური რეგულაცია, ასევე არც ევროპის ქვეყნებში და არც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არსებული საპროცესო შეთანხმების მსგავსი (მამნიაშვილი. 2013წ გვ.200). აღნიშნული ნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში სხვა ქვეყნების მსგავსი ინსტიტუტი არ გადმოუღიათ, არამედ ქართველმა კანონმდებელმა და პრაქტიკოსმა იურისტებმა თვითონ დამოუკიდებლად შექმნეს ახალი საპროცესო შეთანხმების ფორმა.

მოცემულ თემასთან მიმართებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით დაზარალებულის როლი საპროცესო შეთანხმების დადებისას და მის მიერ კანონიერი ზემოქმედების შესაძლებლობები ბრალდების მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. მოქმედი სსსსკ-ის თანახმად, როგორც უკვე აღვნიშნე, დაზარალებული პირი არ წარმოადგენს პროცესში მხარეს და შესაბამისად, სარგებლობს ძალზედ მწირი უფლებებით, თუმცაღა კანონმდებელი რიგ შემთხვევებში ცალკეულ საპროცესო გადაწყვეტილებათა მიღებისას სამართალდმცავ ორგანოებს ავალდებულებს აღნიშნულის შესახებ შეატყობინონ დაზარალებულს. ძირითადად ამ ინფორმირების მიზანია, პირისგან თანხმობის მიღება ისეთ საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების ჩატარებაზე, რომელის ჩატარებაც კანონით იკრძალება იმ შემთხვევაში, თუ მის ჩატარებაზე დაზარალებულის თანხმობა არ იქნა გამოხატული, ამას გარდა ინფომირებულობა დაზარალებულისა სამართალდამცავ ორგანოთა მიერ მიზნად ისახავს ინფრომაციის გაცნობას მიმდინარე გამოძიებისა და

დაგეგმილი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე საქმის კურსში ჩაყენებას. აღსანიშნავია კანონმდებლის ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით რომ იგი საპროცესო შეთანხმების დადებამნე ავალდებულებს პროკურორს რომ მან გაიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან და გაარკვიოს მისი დამოკიდებულება სამომავლოდ საპროცესო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით, თუმცა კანონმდებელი ამისდა მიუხედავად რა პოზიციას არ უნდა ქონდეს დაზარალებულს, თუნდაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდეს მაინც შეუძლია პროკურორს ბრალდებულთან გააფორმოს საპროცესო შეთანხმება (ფაფიაშვილი. 2015წ გვ. 648).

აღნიშნული ჩანაწერი ძალზედ უსამართლოა ისეთ დანაშაულების საქმეებზე, სადაც დაზარალებულს ზიანის სახით მიადგა დიდი ოდენობით ქონებრივი ზარალი ან მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეექმნა ობიექტური საფრთხე, თუმცა რეალურად ისეც საგულისხმოა თუ რა სურს რეალურად კანონმდებელს აღნიშნული ჩანაწერით კანონმდებლობაში. ცალსახად იგი პროკურორს მოუწოდებს იხელმძღვანელოს დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე, დაამყაროს მასთან შესაბამისი კომუნიკაცია და შედეგები ასახოს კონსულტაციის ოქმში, ხოლო შემდგომ იმოქმედოს კანონის ფარგლებში არსებული თავისუფლებით და მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება.

2014 წელს შესულმა ცვლილებებმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, დაზარალებულს მიანიჭა უფლება, სასამართლოში საპროცესო შეთანხმების დადებისას, მოსამართლეს ზეპირად ან წერილობით მიაწოდოს ინფრომაცია მიყენებული ზიანის შესახებ, რაც მას უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა, თუმცა ამ ახალ რეგულაციასაც აქვს თავის უარყოფითი მხარე. კერძოდ საუბარია, დაზარალებული პირის დაზარალებულად ცნობის მატერიალური საფუძვლების ნაწილობრივ უგულებელყოფაზე და ძირითადად აქცენტი გადააქვს მხოლოდ პირისათვის ფაქტობრივად მიყენებულ ზიანზე, ხოლო რაც შეეხება ზიანის ობიექტური საფრთხის არსებობის შემთხვევაში დაზარალებულის მიერ მხოლოდ იმის თხრობის შესაძლებლობა რომ მას შეიძლება ზიანი მისდგომოდა ბრალდებულის მხრიდან, გაუგებარია რა სასურველი შედეგის მოტანა შეუძლია აღნიშნულ ჩანაწერს

კანონმდებლობაში დაზარალებულის უკვე დარღვეული უფლებების აღდგენის კუთხით, ისეთ ფონზე რომ მოსამართლეს არავითარი ბერკეტი არ აქვს იმისათვის რომ დაზარალებულის მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლოს აღნიშნული პროცესის ფარგლებში.

კანონმდებელი დაზარალებულს ცალკე ამ ძირითადი პროცესისგან დამოუკიდებლას სთავაზობს შესაძლებლობას რომ სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით იდავოს ზიანის ფაქტი და ამ ფორმით დაიყმაყოფილოს თავის სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო სისხლის სამართლის მოსამართლესთან რომელიც მის საქმეს იხილავს მას არ აქვს უფლება მოითხოვოს მასთან მიყენებული ზიანის უზრუნველყოფა (ნაცვლიშვილი. 2016წ. გვ.18). გამომდინარე აქედან, ცალსახად ჩანს რომ დაზარალებულის მიერ გაკეთებული განმარტება მის მიმართ მიყენებული ზიანის კუთხით არის ძალზედ ფორმალური ხასიათი და მისი დარღვეული უფლებების აღდგენის კუთხით არავითარი ზემოქმედების ეფექტი არ აქვს,თუ არ ჩავთვლით საპროცესო შეთანხმებისას მოსამართლის მიერ გასათვალისწინებელ საკითხებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ვინაიდან დაზარალებული არ წარმოადგენს მხარეს მას არა აქვს უფლება გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია, მართალია, შეესაბამება შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესს (ფაფიაშვილი. 2015წ, გვ. 648), თუმცა ასეთი ბოჭვის პირობებში აუცილებელია კანონმდებელმა საპროცესო კანონმდებლობის შესაბამის თავში გააკეთოს ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლეს დაავალდებულოს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დაზარალებულის პოზიციას ზიანის ანაზღაურების კონტექსტში და მხედველობაში მიიღოს აღნიშნული გარემოება უშუალოდ საპროცესო შეთანხმების პირობების განსაზღვრისას. მითუმეტეს ისეთ პირობებში, როცა კანონმდებელი ნებისმერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დასაშვებად მიიჩნებს საპროცესო შეთანხმების დადებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა, რომლის ფარგლებშიც მოხდა კონკრეტული 27 სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც საპროცესო შეთანხმება იყო დადებული. ამ 27 საქმის

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ 6 სისხლის სამართლის საქმეზე მოსამართლემ მიუთითა დაზარალებულსა და პროკურორს შორის არსებული კონსულტაციის ოქმზე და აღნიშნული გარემოება გაითვალისწინა საპროცესო შეთანხმების დადებისას, ხოლო დანარჩენ 21 საქმეზე მოსამართლემ ყურადღების გარეშე დატოვა დაზარალებულსა და პროკურორს შორის კონსულტაციის ოქმის არსებობის სავალდებულოობა და უგულებელყო იგი. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზემოთხსენებულ არცერთ საქმეში არ არის მითითება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის რეგულაციაზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დაზარალებულს არ ჰქონია შესაძლებლობა იმისა რომ კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა გამოეყენებინა და სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლისათვის განემარტა იმ ზიანის შესახებ, რაც მას უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ნათელი გახდა ის გარემოება, რომ აღნიშნული რეგულაცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის გათვალისწინებული, ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და რეალურად დაზარალებულისათვის რაიმე დადებითი ეფექტის მოხდენა არ შეუძლია. საიას 2016 წლის კვლევა მიუთითებს მხოლოდ ერთ სისხლის სამართლის საქმეს, სადაც საუბარია მოსამართლის მხრიდან დაკისრებული სასჯელის სამართლიანობაზე და მისი სწორად განსაზღვრის აუცილებლობაზე (ნაცვლიშვილი. 2016წ. გვ.19). მოსამართლე მსჯელობს საპროცესო შეთანხმებისას დანიშნული სასჯელის პროპორციულობაზე, კანონის საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის კონტექსტში, სადაც დაწვრილებით განმარტავს რომ სასჯელის მოხდის პერიოდი და სასჯელის ხანგრძლივობა არის საშუალება იმისა რომ დამნაშავემ იფიქროს იმაზე თუ რა ზეგავლენა იქონია მისმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ დაზარალებულზე, იფიქროს წარსულ შეცდომებზე და შეცვალოს მისი მომავალი ცხოვრების წესი.

სწორედ ზემოთხსენებული ერთადერთი სასამართლო პრეცედენტია, სადაც მოსამართლემ განაჩენში პირდაპირ მიუთითა დაზარალებულის ინტერესებზე და სასჯელის მოხდისა და დაკისრების ერთ-ერთ კომპონენტად იგულისხმა მიყენებული

ნეგატიური ზემოქმედება დაზარალებულის მიმართ (აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა - (McDonald BL,M.(2012).Know Your Rights on the Victims' Directive. IRELAND: JUSTICIA, page. 20).

თავი V. რეკომენდაციები

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა იმ არსებითი საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა, რომლებიც უზრუნველყოფს დაზარალებულის საპროცესი უფლებების ეფექტურ რეალიზაციას. ამასთან, აღნიშნული სრულად შეესაბამება დაზარალებულის/დანაშაულის მსხვერპლის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ საერთაშორისო აქტებსა და კონვენციებს, აგრეთვე ევროპარლამენტის 2012 წლის დირექტივას.

4.1 რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტს

1) ცვლილება შევიდეს სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილში.

აღნიშნულის მიზანია უზრუნველყოს დაზარალებულის უფლებების გაზრდა პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაზარალებულს ჰქონდეს შესაძლებლობა : ა) ყველა კატეგორიის დანაშაულზე სასამართლოში გაასაჩივროს დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება; ბ) ყველა კატეგორიის დანაშაულებზე უფლება ჰქონდეს სასამართლოში გაასაჩივროს დევნის დაწყებაზე უარის თქმისა ან დევნის/გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება.

2) ცვლილება შევიდეს სსსკ-ის 57-ე მუხლის 1-ელ ნაწილში.

დაზარალებულს მიეცეს შესაძლებლობა, მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები სახელმწიფო ხარჯით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ამასთან, პროკურორის/გამომძიებლის უარი საქმის მასალების ასლების გადაცემაზე უნდა იყოს დასაბუთებული

3) ცვლილება შევიდეს სსსკ-ის 58-ე მუხლის 1-ელ ნაწილში.

უზრუნველყოფილ იქნეს დაზარალებულის ინფორმირება ისეთ მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით, როგორებიცაა : ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან, წინასასამართლო სხდომა, სასამართლოს მთავარი სხდომა, საპროცესო შეთანხმების სხდომა, სასჯელის შეფარდებისა და სააპელაციო ან

საკასაციო სასამართლო სხდომები. **აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა განისაზღვროს, როგორც პროკურორის ვალდებულება.** შესაბამისად, უნდა შეიცვალოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირება, რაც გულისხმობს ზემოთ ხსენებული ინფორმაციის მისაღებად, წინაპირობის სახით, **დაზარალებულის მოთხოვნის გაუქმებას.**

4) ცვლილება შევიდეს სსსკ-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ი" ქვეპუნქტის განსაზვრულ დანაწესში.

უზრუნველყოფილ იქნეს დაზარალებულის პროცესუალური უფლება ავტომატურად/მისი მხრიდან შეტყობინების გაკეთების გარეშე, მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციარული დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს რეალური საფრთხე არ ემუქრება.

5) ცვლილება შევიდეს სსსკ-ის 57-ე მუხლის 1-ელ ნაწილში.

დაზარალებულის უფლებების ნაწილში უნდა განისაზღვროს, ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი დისტანციური დაკითხვის შესაძლებლობა ან სხვა ალტერნატიული მექანიზმები, ბრალდებულის დასწრების გამორიცხვით. მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებით მგრძნობიარე დაზარალებულების დასაცავად, რომლებსაც სასამართლო დარბაზში დამსწრეთა თვალწინ ჩვენების მიცემით ფსიქიკური ტრავმა შეიძლება მიადგეთ, ფართო და ხელმისაწვდომი იყოს მათი დისტანციური დაკითხვის შესაძლებლობები.

6) ცვლილება შევიდეს სსსკ-ის 57-ე მუხლის 1-ელ ნაწილში.

საკანონმდებლო ცვლილებების სახით განისაზღვროს შემდეგი რეგულაცია: დაზარალებულს მიენიჭოს უფლება მოითხოვოს დამატებითი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება. ამასთან თუ დაზარალებულის მითითებას ან წარდგენილ მოსაზრებებს, დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით, არ გაითვალისწინებს პროკურორი, დაასაბუთოს დაზარალებულის მოთხოვნების

დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება და წარმოადგინოს შესაბამისი არგუმენტები.

7) ცვლილება შევიდეს 217- ემუხლის 1-ელ ნაწილში.

საკანონმდებლო ცვლილებების გზით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, მიეთითოს მოსამართლის ვალდებულებაზე, განიხილოს დაზარალებულის მოსაზრებები სასჯელის პროპორციულობისა და მიზანშეწონილობის კონტექსტში. ხოლო შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება და საქმე დაუბრუნოს პროკურორს, თუ დაზარალებულის ინტერესები სათანადოდ და ობიექტურად არ არის შეფასებული წარმოდგენილ პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით გათვალისწინებულ რეგულაციას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება.

8) ცვლილება შევიდეს 217- ე მუხლის 1-ელ ნაწილში.

სსსკ-ის 217-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის ფორმულირება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, დაზარალებულს უფლება აქვს, სასამართლოს წერილობით ან სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა ან შეიძლება მისდგომოდა დანაშაულის შედეგად.

9) ცვლილება შევიდეს 182-ე მუხლის მე-3 ნაწილში.

საკანონმდებლო ცვლილებების გზით საგამონაკლისო წესით დაზარალებულს მიენიჭოს უფლება განაცხადოს შუამდგომლობა სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ. აღნიშნული უნდა საბუთდებოდეს დაზარალებულის არსებითი ინტერესებით, მაგალითად საფრთხე შეიძლება შეექმნას მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას.

დასკვნა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩემს წინაშე აღმოჩნდა რამდენიმე პრობლემური საკითხი დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, უპირველესად საკითხი ეხება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის სრული ფორმით შეუსაბამობის საკითხს ევროპარლამენტის მიერ მიღებულ ,,დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ" 2012/29/EU დირექტივასთან", მოგეხსენებათ აღნიშნული დოკუმენტი თავისი არსით ყოვლისმომცველია დაზარალებულის უფლებების დაცვის კუთხით და აუცილებელია ქართველმა კანონმდებელმა ძირითად ასპექტებზე გაამახვილოს ყურადღება და მოახდინოს იმპლემენტაცია, განსაკუთრებით სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერაზე დაზარალებულის მიმართ. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, ის ფაქტი რომ, მართალია კანონმდებელი სრული ფორმით ვერ მოახდენს დირექტივის დებულებების ასახვას კანონმდებლობაში, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, ძირითადი რეგულაციები აუცილებელია აისახოს საპროცესო კოდექსში.

აგრეთვე ნაშრომზე მუშაობის პროცესში აშკარად გამოიკვეთა, პირის დაზარალებულის ცნობის პრობლემატიკა პრაქტიკაში და მასთან დაკავშირებული სირთულეები, კერძოდ საუბარია ისეთ დანაშაულებზე, რომლებიც თავიანთი სიმძიმის მიხედვით წარმოადგენენ მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებს, სადაც დაზარალებულს სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეძლევა მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების უფლება და არა სასამართლო ინსტანციაში. ზემდგომი პროკურორი, მოგეხსენებათ, ერთ საერთო საგამოძიებო ორგანოს წარმოადგენს და მის მიერ შესაძლო გადაწყვეტილება დაზარალებულის საჩივრის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით ნაკლებადაა მოსალოდნელი, სწორედ ამიტომაცაა აუცილებელი, რომ დაზარალებულს მიეცეს უფლება პროკურორის გადაწყვეტილება სასამართლოს კონტროლს ქვეშ გაატაროს და ამ ფორმით ამოწუროს ქვეყანაში არსებული ყველა სამართლებრივი ბერკეტი. აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია პროკურორსა და დაზარალებულს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარების აუცილებლობაზე გავამახვილოთ ყურადღება, ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როცა

დაზარალებულს ინფორმაციის მიცემაზე დაუსაბუთებელ უარს ეუბნებიან და იშველიებენ გამოძიების ინტერესებს. მართალია, გამოძიების ინტერესებში შედის როგორც დაზარალებულის ინტერესების დაცვა, ასევე ბრალდებულისა და სხვა პირის, რომელიც აღნიშნულ საქმეში ფიგურირებს, თუმცა მიუხედავად ამისა, სამართალდამცავებს უნდა დაუწესდეთ ვალდებულება დაზარალებულს შეუქმნან ისეთი პირობა და წარმოდგენა, რომ მათთვის აღნნიშნული ინფორმაციის მიუწოდებლობაა ნამდვილად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გამოძიებისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანია საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან კოდექსის მიხედვით საუბარია მხოლოდ ზიანის სახეებზე და და მათი ანაზღაურების შესაძლებლობაზე სამოქალაქო/ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის პროცესში ზიანის ანაზღაურება წარმოუდგენელია. ამიტომაც, აუცილებელია კანონმდებლობაში გაჩნდეს ჩანაწერი, რომლითაც მოხდება ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის უზრუნველყოფა ძირითადი პროცესის პარალელურად, სადაც დაზარალებულის ინტერესების დაცვა მოხდება სრული მოცულობით.

სისხლის სამართლებრივი გამოძიებისა/დევნისა შეწყვეტისას სახელმწიფო ბრალდება სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, სადაც საჯარო ინტერესზე და მტკიცებულებათა სტანდარტებზეა საუბარი. მართალია აღნიშნულ გარემოებებზე ყურადღება ნამდვილდ არის გასამახვილებელი, თუმცა აუცილებელია პირდაპირ იქნეს, ჩანაწერი რომ დაზარალებულის პოზიცია გახდეს კონკრეტულ დანაშალთა საქმეებზე გასათვალისწინებელი, ხოლო დღევანდელი რეგულაციის მიხედვით კონსულტაციით შემოიფარგლება პროკურორი დაზარალებულთან და ისმენს მისგან მის პოზიციას რაც საბოლოო ჯამში ხელს არ უშლის მის მიერ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, თუნდაც იგი იყოს დაზრალებულის ინტერესების საწინააღმდეგო.

აქტუალურია საკითხი, დაზარალებული მოწმის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით, ვინაიდან იმ საქმეებზე, სადაც დაზარალებულმა განიცადა სექსუალური

ძალადობა ან იძულება საჯაროდ დეტალებზე მოყოლა მისი მხრიდან ან იმ შემთხვევაში, როდესაც პროცესს ესწრება ბრალდებული ძალზედ რთულია და მაში იწვევს ხელახალ ვიქტიმიზაციას. ასეთ პროცესებზე დახურვის უფლება აქვს თვით მოსამართლეს ან ბრალდების მხარეს, ხოლო თუ ისინი ამ უფლების გამოყენებაზე უარს იტყვიან დაზარალებული გამოდის დაუცველად. ამდენად, აუცილებელია მასაც მიეცეს უფლება გამონაკლის შემთვევაში შუამდგომლობის დაყენების, რათა სხდომა იქნეს დახურულად გამოცხადებული.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა, კერძოდ საპროცესო უფლებათა განხორციელების ასპექტი წარმოადგენს ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს სისხლის სამართლის პროცესში. ამასთან, მაღალია დაზარალებულისათვის ხელახალი ზიანის მიყენების პოტენციური საშიშროება, როგორც სასამართლოში, ასევე საგამოძიებო ორგანოებთან მისი კომუნიკაციის პროცესში. ამდენად, აუცილებელია სახელმწიფომ სათანადოდ მოამზადოს აღნიშნული პირები დაზარალებულთან კომუნიკაციის კუთხით და ამ ფორმით მოახდინოს პრევენცია იმისა, რომ არ მოხდეს ამ პირისათვის განმეორებით ზიანის მიყენება.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული აქტები:

1) საქართველოს კონსტიტუცია, გამომც. ,,იურისტების სამყარო", ქ.თბილისი, 2018 წლის მდგომარეობით.

2) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, გამომც. ,,იურისტების სამყარო", ქ.თბილისი, 2018 წლის 1 ივნისის მდგომარეობით.

3) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის მდგომარეობით.

4) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესოკოდექსი, გამომც. ,,ბონა კაუზა", ქ.თბილისი, 2018 წლის 20 მაისის მდგომარეობით.

5) ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (მიღ. 1950), 2017 წლის მდგომარეობით.

6) საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010წლის 8 ოქტომბრის№181 ბრძანება, ,,სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი" შესახებ. (2017წ მდგომარეობით)

7) საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 - წლის 12 - ნოემბრის 216-ე ბრძანება. (განრიდებისა და მედიაციის) შესახებ მედიატორებისათვის სახელმძღვანელო მითითებების დამტკიცების თაობაზე. (2017წ მდგომარეობით)

გამოყენებული ლიტერატურა :

1) ბურდული.ი და სხვ. (2013) *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. თბილისი. შპს ,,პეტიტი"*

2) გახოკიძე,ჯ და სხვა.(2013).*საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი.თბილისი: ,,იურისტების სამყარო."*

3) *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ,,ამერიკის იურისტთა ასოციაცია", ქ.თბილისი 2015.*

4) გვენეტაძე,ნ და სხვა.(2012). *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. განრიდება და მედიაცია. თბილისი ,,უნივერსალი"*

5) დვალიძე.ი (2013). *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ,, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისამართლებრივი შედეგები". თბილისი ,,მერიდიანი"*

6) თუმანიშვილი,გ. (2014). *სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა.თბილისი: ,,იურისტების სამყარო"*

7) იზორია.ლ და სხვ. (2005) *კონსტიტუციის კომენტარი თბილისი. ,,მერიდიანი"*

8) კუბლაშვილი,კ. (2008 *).ძირითადი უფლებები. თბილისი: ,,ჯისიაი"*

9) ლომსაძე, მ. (2016). *სისხლის სამართლის პროცესი. ,,ბონა კაუზა"*

10) ტურავა,მ.(2013*).სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,მეცხრე გამოცემა.თბილისი: ,, მერიდიანი"*

11) *ჯემალ გახოკიძე, მიხეილ გაბუნია. კრიმინოლოგია. გამომც. ,,იურისტების სამყარო, ქ.თბილისი, 2014წ.*

12) *ციცინო გახოკიძე, მიხეილ გაბუნია. კრიმინოლოგია. გამომც. ,,იურისტების სამყარო", ქ.თბილისი, 2017წ.*

13) *უეინ ა. პეტერიკი, ბრენტ ე. ტიორვი, კლერ ფერგუსონი, სასამართლო კრიმინოლოგია, გამომც. ,,ლაბირინთი", ქ.თბილისი, 2015წ.*

14) ტურავა,მ (2013). *სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში. თბილისი; ,,მერიდიანი"*

15) ტრექსელი, შ.(2009). *ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი.*

16) *თემურ (პოლიკარპე) მონიავა, პირადი არაქონებრივი უფლებები, გამომც. ,,მერიდიანი", ქ.თბილისი, 2004წ.*

17) *შალვა ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, გამომც. ,,მერიდიანი", ქ.თბილისი, 2006წ.*

18) შალიკაშვილი,მ.(2011).*ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ. თბილისი: ,,მერიდიანი"*

19) ლალიაშვილი.თ (2015) *სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი. თბილისი ,,იურისტების სამყარო"*

20) მიქანაძე. გ და შალიკაშვილი.მ (*2016) წ არასრულწლოვანთა მართლსაჯულება.* თბილისი, ფაიბურგი,სტრასბურგი. ,,მერიდიანი"

21) მამნიაშვილი.მ (2013) *სისხლის სამართლის პროცესი კერძო ნაწილი. თბილისი. ,,იურისტების სამყარი"*

22) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. *ავტ.კოლექტივი 2015.წ ,,მერიდიანი"*

23) სუხიტაშვილი.დ და სუხიტაშვილი.თ (2016) *სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა თბილისი. ,,მერიდიანი''*

24) ცერცვაძე.გ (2010) მედიაცია. ,,დავის გადაწყვეტილების ალტერნატიული ფორმა'' ზოგადი ნაწილი. თბილისი ,,მერიდიანი''

25) ჭანტურია. ლ. და სხვ. (2001) *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგ. მესამე. თბილისი. ,,სამართალი''*

26) ხუბუა.გ *სამართლის თეორია 2015წ. თბილისი ,, მერიდიანი''*

<u>სამეცნიერო სტატიები :</u>

1) თუმანიშვილი,გ.(2009). *დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში.თბილისი:სამართლის ჟურნალი. №2*

2) კავთუაშვილი, ე(2012*).მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის როლი დანაშაულის მსხვერპლთან ურთიერთობაში.*

3) კარიაული,დ.(2011). *დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით.მართლმსაჯულება და კანონი.№2*

4) ნაცვლიშვილი. ა და სხვა. 2016. *დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.* ,, საია ''

5) ჯორბენაძე, ო. (2015). ,,რამდენიმე მოსაზრება ცრუ ჩვენების, ცრუ დასმენისა და მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემის თაობაზე'' თბილისი; მართლსაჯულება და კანონი. *№1*

6) ჩხეიძე,ი.(2013). დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში.თბილისი:მართლმსაჯულება და კანონი. №2

<u>სასამართლო გადაწყვეტილებები :</u>

1) ,,გურგენიძე'' საქართველოს წინააღმდეგ 2006 წ. (№ 71678/01)

2) ,,ენუქიძე და გირგვლიანი'' საქართველოს წინააღმდეგ“2011წ. (№25091/07)

3) ,,შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ''. 2016წ.(№1/8/594)

4) ,,ხაინდრავა და ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“,18183/05, პარაგრაფები 60-62.

5) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება იხ. საქმე Nას-1156-1176-2011, 20.01.2012.

6) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007-წლის 2- ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დ ჯიმშელეიშვილი. ტ. გვეტაძე და ნ. დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II.პ.5.

7) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოქალაქე მ. ნათაძე და სხვ. 2007-წლის 26- ოქტომბერი #2/2-389, მე-2.პ. 31

უცხოური ლიტერატურა :

1) Dg justice guidance document related to the transposition and implementation of directive 2012/29/EU(2013). European commission, Dg justice
2) Directave 2012/29.EU of the European parliament and of the council of 25 Octomber 2012 establishing minimum standarts on the rights, support and protection of victims of crime.
3) Kilching, M 2002, 59-61 Opferschutz und der strafanspruch des states -Ein widerspruch? In Nstz (Neue Zeitschrift Fur Strafrecht).
4) McDonald BL,M.(2012).Know Your Rights on the Victims' Directive. IRELAND: JUSTICIA
5) Shneider,H.J.1999, 127-129 Die gegenwartige Situation des Verbrechensopfers, Fortschritte und Probleme der Viktimologie-Forschung.OJZ. S121